# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№36 (9867) 2025 წლის 12 მარტი, ოთხშაბათი


## გაყიდული ოპოზიციის გასაგონად!

# USAID საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ შორის „ჰამასს“ აფინანსებდა



**ებრაული გამოცემა The Jerusalem Post სტატიას, სადაც საუბარია იმაზე, რომ სკანდალურად ცნობილი USAID მონაწილეობდა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის „ჰამასის“ დაფინანსებაში.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, USAID აგრეთვე ისეთ მედიას აფინანსებდა, როგორიცაა BBC, რომელიც ანტიებრაულ პროპაგანდას ეწეოდა და პალესტინელების ტერორიზმზე ინფორმაციას მალავდა. გამოცემა წერს, რომ ამ ფაქტებს თავად ამერიკული ორგანიზაცია იძიებს.

ამის გამო, წერს The Jerusalem Post, ევროპულ საზოგადოებაში მკვიდრდება აზრი, რომ ისრაელი საოკუპაციო ძალაა. ზევრ ქვეყანაში პოლიტიკოსები ისრაელის კრიტიკის ხარჯზე პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობენ. განსაკუთრებით ეს ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა იზრდება.

**ორპირობის ყველაზე ნათელი მაგალითი არიან ირლანდია, შვედეთი და ბელგია, სადაც ანტისემიტიზმი ისრაელის კრიტიკით არის გამართლებული,** – წერს გამოცემა.




## საქართველომ „გლობალური ომის პარტიას“ „დიდგორი“ მოუგო!



4

## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

6–7



## ტრამპი და პუტინი ერთმანეთს უგებენ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს!



12

**...დიახ, დონალდ ტრამპს გულწრფელად სურს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, მაგრამ მოდით, გავარკვიოთ, როგორ განსაზღვრავს იგი ტერმინ „მშვიდობას“...**

## ლევან მგალობლიშვილმა მრავალშვილიანი დედები დააჯილდოვა



11

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის კიდევ ერთი აღიარება!




5

**აკადემიკოსი დავით გურგენიძე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის CERN-თან, ამ ერთ-ერთ უმსხვილეს კვლევით ცენტრთან კოლაბორაცია არაერთი სასიკეთო შედეგის მომტანი გახდა**



2

## კახა კალაძე: ფაშიზმი და რადიკალიზმი ყოველთვის განწირული იქნება მარცხისთვის!

## ნარკომანია: პასუხისმგებლობის გამკაცრება იგეგმება

2

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ნარკომანია: პასუხისმგებლობის გამკაცრება აუცილებელია!

**შესაბამისი ცვლილებების ინიცირება დღეს მოხდა. პარლამენტში წარდგენილია რვა კანონპროექტი, მათ შორისაა ცვლილებები „სისხლის სამართლის კოდექსში“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონებში.**




„სისხლის სამართლის კოდექსს“ ნორმები ემატება, რომლითაც დგინდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებისთვის, როგორებიცაა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, გადაზიდვა ან გადაგზავნა; ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის, სხვა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღება; ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის, სხვა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების გაყიდვა; ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, გადაზიდვა ან გადაგზავნა.

ასევე მკაცრდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებისთვის, შეძენისთვის, შენახვისთვის, გადაზიდვისთვის, გადაგზავნისთვის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის.

განისაზღვრება ნარკოვაჭრობისა და ნარკომოვაჭრის ცნება. ასევე განისაზღვრება, ვინ შეიძლება იყოს ნარკომოვაჭრის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი და დაკავშირებული პირი. დგინდება, თუ რა ჩაითვლება ნარკომოვაჭრის ქონებად. ამავე პროექტით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს ხუთ წლამდე ვადით შეეზღუდება სატრანსპორტო საშუალების მართვის, საჯარო სამსახურში საქმიანობისა და იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვისა და ტარების უფლება.

## დეკანოზი ალექსანდრე გალდავა: ნარკომანია უნდა აღმოიფხვრას!



**მე ვფიქრობ, რომ ეს თემა კარგად არის შესასწავლი. ჩვენი გამოცდილებიდანაც და უცხოელი სპეციალისტების გამოცდილების მხრივ. ის, რომ რეალიზატორები მკაცრად დაისჯებიან, ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ამ რეალიზატორებსა და ნარკოდამოკიდებულ ხალხს შორის როგორ იქნება ზღვარი გავლებული ეს რთული საქმეა,** – განაცხადა დეკანოზმა **ალექსანდრე გალდავამ** ნარკოპოლიტიკის გამკაცრებაზე საუბრისას.

**„უნდა დამზადდეს რგოლები, გამოიცეს სახელმძღვანელოები, შევიდნენ სკოლებში. მძღოლებს გააჩერებენ და შეამოწმებენ ნარკოტიკებზე, ასევე ისეთ მძღოლებს, რომლებსაც ხალხი გადაჰყავთ. ღამის კლუბები სავსეა ნარკოტიკებით და ახალგაზრდები, რომლებსაც უნდათ რაღაც ახალი შეიგრძნონ, რომლებიც ძალიან მოწყვლადები არიან ამ მხრივ, ყველაფერს სინჯავენ. ამას უნდა კომპლექსური მიდგომა და ჩამოყალიბება სახელმწიფოს მხრიდან, ნარკოპოლიტიკის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა“...**

სახელისუფლებო გუნდი ცვლილებებს ამზადებს, რომლებიც სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, ასევე სხვა კანონებში შევა. დაგეგმილია ყველა სახის ნარკოტიკის გაყიდვისთვის სასჯელის გამკაცრება, ასევე გადაიხედება ზომები ნარკოტიკების მოხმარების ფაქტებზეც. ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას მნიშვნელოვან რეფორმად მიიჩნევენ სასულიერო პირები. ამბობენ, რომ ცვლილებებს შედეგები უნდა მოჰყვეს.

## გია ვოლსკი: ჯიმ რიში და ჯინ შაჰინი სააკაშვილის აღმზრდელები და მისი რეჟიმის დამცველები არიან...



**გვინდა, წარმატებით დასრულდეს „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგადად, მსოფლიოს დიდი გამოწვევა ელოდება,** – ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

ვოლსკის თქმით, მსოფლიოში პოლიტიკური კონიუნქტურა შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა კონკრეტული პირების ამოცანები, საქართველომ მსხვერპლი გაიღოს.

**„ჯიმ რიში და ჯინ შაჰინი მიხეილ სააკაშვილის აღმზრდელები და მისი რეჟიმის დამცველები არიან. აღმზრდელები, რომლებმაც იმ პოზიციაზე მოიყვანეს და გაამწესეს, სადაც სადისტური სისტემა შეიქმნა. რასაკვირველია, ამათ გარკვეული ამოცანა აქვთ. ახლა მსოფლიოში პოლიტიკური კონიუნქტურა შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილან კონკრეტული პირები და მათი ამოცანები – საქართველომ მსხვერპლი გაიღოს. საქართველომ მსხვერპლი ერთხელ უკვე გაიღო და ტერიტორიების 20% დაკარგა, რაც უამრავი ადამიანის გაუბედურების ხარჯზე მოხდა. ახლა მეორე მსხვერპლს ითხოვენ, რომ საქართველო ისეთ პროცესში ჩაერთოს, საიდანაც თუ გამოვიდა და გადარჩა, აუცილებლად სერიოზული ზარალით გამოვა. რასაკვირველია, ამას თავისი შემოქმედები ჰყავდა და ეს კონკრეტული ადამიანები – ჯიმ რიში და ჯინ შაჰინი იმ ჯგუფიდან არიან. როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა, გვინდა, წარმატებით დასრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგადად, მსოფლიოს დიდი გამოწვევა ელოდება“,** – განაცხადა **ვოლსკიმ**.

## კახა კალაძე: ფაშიზმი და რადიკალიზმი ყოველთვის განწირული იქნება მარცხისთვის!

**ადამიანები, ვინც დღეს ლიბერალიზმს იჩემებენ, რეალურად ლიბერალური ფაშიზმის პრინციპების გამტარებელნი არიან,** – განაცხადა თბილისის მერმა **კახა კალაძემ** ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ.



**„მათი პოზიცია და მათივე მოსაზრება თუ არ გაქვს, მაშინვე იწყება თავდასხმები, აქვთ ერთი „მესიჯ ბოქსი“, რომელსაც გარედან იღებენ. რომ ჰკითხო, ლიბერალები არიან, თუმცა ამ ადამიანებს ლიბერალიზმთან საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვთ, ჩვეულებრივი ფაშისტები არიან. ყველა ის დამოკიდებულება და მიდგომა, რაც აქვთ განსხვავებულ აზრთან, არის ლიბერალური ფაშიზმის გამოვლინება. შესაბამისად, ფაშიზმი და რადიკალიზმი ყოველთვის განწირული იქნება მარცხისთვის და ვერასდროს მიაღწევს შედეგს“,** – აღნიშნა **კახა კალაძემ**.

დედაქალაქის მერი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია დღეს ერთსახოვანია და რადიკალურ დაჯგუფებებსა და „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ წარმოადგენს.

**„მარტივად აგიხსნით – ის კონკრეტული რადიკალური დაჯგუფებები, რომლებიც ე.წ. ოპოზიციას წარმოადგენენ, ერთი ხელით იმართებიან. თქვენ არ იფიქროთ, რომ, თუ დღეს ამ ადამიანებმა სხვადასხვა პარტია შექმნეს და სხვადასხვა სახელი დაირქვეს, ისინი სხვადასხვა მიმართულებას წარმოადგენენ. მათ ჰყავთ ერთი პატრონი და ყველა თავის დროზე წარმოადგენდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღში აღმოცენებული არიან. დღეს, როდესაც მოკვდა „ნაციონალური მოძრაობა“, მათმა პატრონებმა გადაწყვიტეს, რომ მკვდარი პარტიისგან გამოყონ ეს ადამიანები და შექმნან რაღაც ახალი...**

## გურამ მაჭარაშვილი: ერთ-ერთი მთავარი ეროვნული საკითხია, გენოფონდი გადარჩეს!



**ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგად, ხელისუფლებას საშუალება მიეცა, ის ნაბიჯები გადაედგა, რაც აუცილებელია ეროვნული იდენტობის მახასიათებლების შესანარჩუნებლად,** – ამის შესახებ პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელმა მდივანმა **გურამ მაჭარაშვილმა** განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობას აქამდე კანონმდებლობის გამკაცრებაში ხელს „დიფ სთეითი“ უშლიდა.

**– ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგად, როცა ხალხს სიმართლე გავაგებინეთ, ხელისუფლებას საშუალება მიეცა, ის ნაბიჯები გადაედგა, რაც აუცილებელია ეროვნული იდენტობის მახასიათებლების შესანარჩუნებლად, იგივე, გენოფონდის შესანარჩუნებლად. ერთ-ერთი მთავარი ეროვნული საკითხია, რომ საქართველოში გენოფონდი გადარჩეს და საზოგადოება ჯანსაღი წესით ცხოვრობდეს. აქამდე კანონმდებლობის გამკაცრებაში ხელს „დიფ სთეითი“ გვიშლიდა. ამერიკის ელჩის სახით მათი მეფისნაცვალი იჯდა, ყოფილ ელჩს ვგულისხმობ. ასევე ბრიუსელიდან ევროკავშირის ელჩია, რომლის პირდაპირი ჩარევები იყო. პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერის განცხადებები ნახეთ, რომ მაგიდაზე ხელების ბრახუნით საკითხების გადაწყვეტა უნდოდათ. ახლა ის დრო დადგა, როცა შეგვიძლია, ეროვნული საკითხები წინა ხაზზე წამოვწიოთ.**

## ეკა სეფაშვილი: Deep State-ის ინტერესია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჰყავდეს მარიონეტული მთავრობა!



**მსოფლიოში** ორი სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესის კონფლიქტში Deep State-ის როლზე ისაუბრა ჟურნალისტებთან „ხალხის ძალის“ საერთაშორისო მდივანმა **ეკა სეფაშვილმა**.

როგორც მან განაცხადა, ამ ეტაპზე იკვეთება Deep State-ის მარცხი, რომელსაც აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ხელმძღვანელობით ჯაბნის. ეკა სეფაშვილის თქმით, Deep State-ის წარმომადგენლები გარკვეულ დადებით გავლენას ახდენდნენ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე და გარკვეულ შირმას ამოფარებული ცდილობდნენ, განეხორციელებინათ მათი რეალური მიზნები.

**Deep State-ის წარმომადგენლების ხელწერა USAID-ის და NED-ის დახმარებით გამოიყურებოდა შემდეგნაირად – ისინი გარკვეულ დადებით გავლენას ახდენდნენ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე და ეს იყო ის შირმა, რომლის უკანაც ცდილობდნენ, დაუსჯელად ემოქმედათ და განეხორციელებინათ მათი რეალური მიზნები. დემოკრატიული განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ის ლოზუნგები, რომლითაც მოქმედებდა USAID, მათ შორის არჩევნებზე დაკვირვება, სამართლიანობის დაცვა, კანონის უზენაესობა და სხვადასხვა პროექტი, რომელსაც ეს ორგანიზაციები ახორციელებდნენ, ერთგვარი ფასადი იყო.**

**„ეს იყო ჩვეულებრივი შირმა – ჩვენ კარგები ვართ, ვეხმარებით მოსახლეობას, სახელმწიფოს დემოკრატიის მშენებლობაში. რეალურად კი, ამის უკან, 80 %-ზე მეტ შემთხვევაში ხორციელდებოდა Deep State-ის ინტერესი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყველა ქვეყანაში ჰყავდეს ისეთი წარმომადგენელი, მარიონეტული მთავრობა, რომელიც ყველა შემთხვევაში მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც Deep State-ის ეკონომიკური ინტერესების სასარგებლო იქნება. სწორედ ამ პროცესებს ვადევნებთ ჩვენ დღეს თვალს მსოფლიოში,“** – განაცხადა **ეკა სეფაშვილმა**.

## ვატო შაქარიშვილი: რისი გაკეთებაც Deep State-მა ვერ შეძლო საქართველოში, ახორციელებს რუმინეთში!



**რისი** გაკეთებაც Deep State-მა ვერ **შეძლო საქართველოში, ახორციელებს რუმინეთში. ჯერ არჩევნების შედეგები სასამართლოს გააუქმებინეს, რადგან მათ მიერ არაკონტროლირებადმა კალინ ჯორჯესკუმ გაიმარჯვა, შემდეგ მას ბრალი წაუყენეს და საბოლოოდ საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა,** – წერს „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი **ვატო შაქარიშვილი**.

როგორც ის აღნიშნავს, ევროკავშირი ამ ყველაფერს დემოკრატიის გამარჯვებას უწოდებს და სწორედ ამ მოდელის მიღება სურდათ საქართველოშიც, რომლის შედეგად, ცესკო, სასამართლო და სხვა ინსტიტუტები აგენტებით უნდა დაკომპლექტებულიყო, საარჩევნო სისტემაც ისეთი ჩამოყალიბებულიყო, რომ აგენტურა მოსულიყო ხელისუფლებაში.

შაქარაშვილის განცხადებით, ქართულმა საზოგადოებამ დაიცვა სახელმწიფო ინსტიტუტები, შედეგად, მათ ხელში მხოლოდ გარე ბერკეტები დარჩა, რომელმაც უკვე დიდი ხანია ძალა დაკარგა და კომიკურ ჟანრშიც კი გადავიდა.

**„დიდი ცვლილებების ჟამია მსოფლიოში და უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში გვქონდეს მყარი პოლიტიკური სტაბილურობა!“,** – წერს ვატო შაქარიშვილი.

შავი იუმორის ნაცვლად...



**პოლიტიკურად გაბანკროტებული და ქუჩის ამარად დარჩენილი ოპოზიცია, სადაც საკუთარი ამომრჩეველიც კი ვერ გამოჰყავს, ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს, თუმცა გაერთიანებაზე ან ერთიან სამოქმედო გეგმაზე ისევ ვერ ყალიბდებიან.**




# ხაზარაძის და ზურაბიშვილის პოლიტიკური ფლირტის სევდიანი ისტორია ისე დასრულდა, არც დაწყებულა!

**„ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის მოწოდება, რომ უნდა შეიქმნას ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, სადაც წამყვან როლს სალომე ზურაბიშვილი შეასრულებს, ოპოზიციისთვის მიუღებელია. მისმა ინიციატივამ ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ვინ რა პირობით დათანხმდება შეთავაზებას ან მოხერხდება თუ არა ხაზარაძის იდეის გარშემო ოპოზიციის გაერთიანება, ჯერ უცნობია. ოპოზიციის ნაწილი შეთავაზებას იწონებს და მთავარ გამოსავლად სწორედ მეტ ერთიანობას და კონსოლიდაციას მიიჩნევს. ნაწილი კი ამ „პოლიტიკურ აჯაფსანდალში“ მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.**

**„დღეს კონკურენციის დრო არ არის, დღეს არის ერთად ყოფნის დრო“**, – ამბობს **ხაზარაძე** და თვლის, რომ ოთხმა ბარიერგადალახულმა კოალიციამ უნდა ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი.

**„ამ პოლიტიკურ ცენტრში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს პრეზიდენტმა, რომლის გარშემოც ყველა ის მანდატდატოვებული და მანდატდაუტოვებელი დეპუტატიც ამ შემთხვევაში – ვიცით, რომ, როგორც ბატონი გახარია ამბობს, მაისში დატოვებენ ამ მანდატებს, კი ბატონო, დაველოდოთ ამ პროცესსაც – ჩვენ ეს ალტერნატივა უნდა დავანახოთ გარე სამყაროს, და რაც ყველაზე მთავარია, დავანახოთ საქართველოს მოქალაქეებს, რომ შეგვიძლია ერთ ოთახში რაღაცაზე ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში, ამ ყველაფრით სარგებლობს ბიძინა ივანიშვილი, რადგან მას უნდა „დაშალე და იბატონე“ და ამ პრინციპს ახორციელებს. მას აწყობს ეს შეუთანხმებელი ამბავი და თუ აწყობს ბიძინა ივანიშვილს, აწყობს რუსეთს და ვერ ხდება ძალების კონსოლიდირება. დღეს კონკურენციის დრო არ არის, დღეს არის ერთად ყოფნის დრო. როცა არჩევნები ჩაინიშნება, მერე ვიღაცა გადალაგდება, ვიღაცა ახალ კოალიციას გააკეთებს, ახალი პარტია შეიქმნება და მერე ყველას გაუმარჯოს ღმერთმა“**, – განაცხადა **მამუკა ხაზარაძემ.**

ხაზარაძის განმარტებით, მარში, მიტინგი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკური პროცესისთვის აუცილებელია ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნა.

„გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრი ცოტნე კობერიძე აცხადებს, რომ თუ იქნება ერთობა, რომლის ლიდერიც სალომე ზურაბიშვილი იქნება, მისი ნაწილი „გირჩი“ არ იქნება.

„გახარია საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ბადრი სიჭინავა კი ამბობს, რომ აჯაფსანდალი ძალიან კარგი კერძია, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში ჩვენს მოსახლეობას ეს კერძი არ შეუკვეთია. ამიტომ ისინი ხაზარაძის შეთავაზებას არ მიიღებენ.

**„აჯაფსანდალი ძალიან კარგი კერძია, მაგრამ პოლიტიკური აჯაფსანდალი პოლიტიკურ მენიუში არ არის კარგი კერძი, რომელიც მოქალაქეებმა შეიძლება შეუკვეთონ რესტორანში – ჩვენ არცერთ პოლიტიკურ პარტიაში არ გავერთიანდებით, არ ვართ ადამიანები, რომლებიც მოხეტიალე სულივით სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის არიან გაჭედილები და დადიან ერთი პარტიიდან მეორეში“**, – ამბობს **სიჭინავა.**

პარტია „ფედერალისტების“ ლიდერი თამარ ჩერგოლეიშვილი ამბობს, რომ ჯობია, მამუკა ხაზარაძე შეეგუოს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკურად ბანკროტია.

იხ. 11 გვ.

# ლევან ცუცქირიძის „თავისუფლების მოედანი“

**ოპოზიციურ ფლანგზე, პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პარტია „თავისუფლების მოედანი“ გამოდის. მანამდე ის პოლიტიკური მოძრაობა იყო და აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო აქციების ორგანიზებასა და მართვაში. პარტიის წევრების გადაწყვეტილებით, „თავისუფლების მოედნის“ თავმჯდომარე ლევან ცუცქირიძე იქნება. როგორც ლევან ცუცქირიძემ განაცხადა, პარტია, რომელსაც „თავისუფლების მოედანი“ ქმნის, „ნამდვილი თანამედროვე, დემოკრატიული პოლიტიკური პარტია იქნება, რომლის ამოცანასაც სახელმწიფოს დაბრუნება წარმოადგენს“. ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს შესაძლოა იყოს ახალი პარტიების გაჩენის დასაწყისი, თუმცა ეს რამდენად იქნება მესამე ალტერნატიული ძალის შემქმნელი, რთული საკითხია.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** სკეპტიკურად უყურებს ახალი პოლიტიკური პარტიის გეგმებსა და მომავალს. როგორც მან For.ge-სთან ინტერვიუში თქვა, ზოგადად, ოპოზიციური პარტიები ცდილობენ რომელიმე, უფრო ძლიერ პარტიას მიეკედლონ, რომ სადეპუტატო მანდატები მოიპოვონ, ვიდრე თავად იშრომონ და გზა გაიკვლიონ.

**„სკეპტიკურად მოვეკიდებოდი ამ პარტიის ჩამოყალიბებას, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, რადგან არსებობს რამდენიმე პარამეტრი, რაც მაძლევს ამ სკეპტიციზმის საფუძველს. ეს პოლიტიკური მოძრაობა აქტიურად აითქვიფა იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რასაც „ლელო – საქართველოსთვის“ ჰქვია. ამასთან, „თავისუფლების მოედნის“ პარტიაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ ისეთ ფიგურებს, რომლებსაც აქვთ დიდი სოციალური კაპიტალი ან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სერიოზული ნდობა – ეს არის ძირითადად NGO-სექტორის წარმომდგენლებისგან, საუნივერსიტეტო სფეროს წარმომადგენლების და ექსპერტებისგან შექმნილი პოლიტიკური ძალა, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რა გზას აირჩევს ეს პარტია – „თავისუფლების მოედანი“ დარჩება კოალიციაში „ლელოსთან“ თუ საკუთარი გზის მოძიებას შეეცდება?!**

**ზოგადად, ახლადშექმნილი პარტიების მთავარი ნაკლოვანება იმაშია, რომ მათ ხშირად „დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს“ – ურჩევნიათ რომელიმე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას მიეკედლონ და პარლამენტში ერთიორი მანდატი გაინაღდონ, ვიდრე უფრო მეტი დრო და ძალისხმევა დახარჯონ იმისთვის, რომ მათი პარტია განავითარონ, ელექტორატი შემოიკრიბონ, სპონსორები დააინტერესონ თავიანთი პროგრამით და ა.შ. ანუ, აირჩიონ უფრო რთული, მაგრამ უფრო პერსპექტიული გზა – ამ კუთხით, ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია სცოდავს. ასე რომ, ჯერჯერობით ამ პოლიტიკური ძალის მომავალი გაურკვეველია და უფრო სკეპტიკურად ვუყურებ ამას, ვიდრე ოპტიმისტურად“**, – განაცხადა **ზაალ ანჯაფარიძემ.**

პარტია „თავისუფლების მოედნის“ ლიდერის განცხადებითვე, სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობას დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბების შემდეგაც გააგრძელებენ. მისი შეფასებით „როდესაც ქვეყანა ამხელა განსაცდელის წინაშეა, პოლიტიკურ ძალებს შორის კოორდინაცია გარდაუვალია“. ცუცქირიძის განმარტებით, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ახალ პოლიტიკურ ძალებსა და მოძრაობებს შორის.

**„ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან გვაქვს ძალიან მჭიდრო კონსულტაციები, კოორდინაცია ძირითად საკითხებზე. ასე რომ, ეს რა თქმა უნდა, ძალაში რჩება. აქამდეც ყოველთვის ვამბობდით, რომ კოორდინაცია, როდესაც ქვეყანა ამხელა განსაცდელის წინაშეა, გარდაუვალია. ვითანამშრომლებთ ყველა იმ ძალასთან, რომელიც საკუთარ კენჭს დადებს დემოკრატიის გადარჩენის საქმეში“**, – განაცხადა **ლევან ცუცქირიძემ.**

ამის ფონზე, „ძლიერი საქართველოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე ინიციატივით გამოვიდა, რომ უნდა შეიქმნას ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, სადაც წამყვან როლს საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შეასრულებს, რასაც ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ზაალ ანჯაფარიძის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ ცდილობენ ოპოზიციური პარტიები ყოფილი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ შემოკრებას.



**„სალომე ზურაბიშვილს აქვს საერთაშორისო კავშირები, მაგრამ ეს არ არის მთავარი და გადამწყვეტი. ურჩევნიათ სალომე ზურაბიშვილის მეშვეობით გაიკვალონ გზა საერთაშორისო მხარდაჭერისკენ, ვიდრე თვითონ იმუშაონ, ჩამოყალიბდნენ თვითკმარ პოლიტიკურ ორგანიზაციად, მათ შორის საერთაშორისო არენაზეც. არ მესმის, რატომ სურთ მაინცდამაინც სალომე ზურაბიშვილის მხრებზე გავიდნენ პოლიტიკურ ფონს?! – როგორც ვნახეთ, მსგავსმა მცდელობებმა აქამდე წარმატება მათ ვერ მოუტანა“**, – დასძინა ანალიტიკოსმა.

**ნიკო ჩოხელი**



ლევან ცუცქირიძე:
ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან გვაქვს ძალიან მჭიდრო კონსულტაციები, კოორდინაცია ძირითად საკითხებზე







დავით ქართველიშვილი:

# საქართველომ „გლობალური ომის პარტიას“ „დიდგორი“ მოუწყო!

**ჯერ კიდევ 2025 წლის 28 თებერვლამდე მიმდინარე წელიწადი, შეიძლება, არაოფიციალურად, „უკრაინის ომის დასრულების წელიწადად“ გამოეცხადებინათ“,**

**— ამბობს „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი.**



მისი თქმით, საქართველომ თავის დროზე უკრაინული შეცდომების დიდი ნაწილი გაიმეორა, მაგრამ საბოლოო კატასტროფამდე ორ ნაბიჯში, მას ეყო ძალა და ეროვნული თვითშეგნება, „გლობალური ომის პარტიისთვის“ ნამდვილი „დიდგორი“ გაემართა.

**„თუკი რამე მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიოში, ამ მოლოდინთან არის დაკავშირებული. მათ შორის, სამყაროს ახალი გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური გადანაწილება, რასაც ხშირად „იალტა 2-ად“ მოიხსენიებენ. მაგრამ, თეთრ სახლში ტრამპისა და ზელენსკის სკანდალური შეხვედრის შემდეგ, რომელიც ოვალური კაბინეტიდან უკრაინის პრეზიდენტის დე ფაქტო გაძევებით დასრულდა, ომის სწრაფად დასრულების შანსი უკვე ბუნდოვანია. გარდა ამისა, ამ კვირაში უკრაინაში მიმდინარე „რუსეთ-დასავლეთის“ სამხედრო დაპირისპირებას სამი წელი შეუსრულდა. გამორიცხულია ნორმალური ადამიანის წოდებაზე გქონდეს პრეტენზია და უკრაინის ტრაგედიას „პოპკორნით“ ხელში რაღაც კომპიუტერული თამაშის პრიზმაში განიხილავდე. ამ სახელმწიფოს მის საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში ჯერ კიდევ ჰქონდა გადარჩენის და განვითარების პერსპექტივა. თუმცა, „გლობალური ომის პარტიას“ ამაზე საკუთარი შეხედულებები ჰქონდა. როგორც კი ამ გლობალური მონსტრის ნებაყოფლობით მძევლობაში ჩავარდა უკრაინა, მისი მომავალი ბედი განწირული იყო. ახლა იმაზე მსჯელობას, რა უნდა გაეკეთებინა ქვეყანას, თუ რა არ უნდა გაეკეთებინა, შესაძლოა არანაირი აზრი არ აქვს. თუმცა მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ იზიდავს უკრაინის გამოცდილება, ნატრობს მის ბედს და მიისწრაფვის, საკუთარი ქვეყანაც ასეთ „არმაგედონად“ აქციოს, მაინც შევახსენოთ ამ „ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების“ შესახებ.**

უკრაინის გადარჩენის გასაღები დღევანდელი გადასახედიდან თითქოს მარტივ ჭეშმარიტებებზე იყო დაფუძნებული: ნეიტრალიტეტსა და ძალთა ბალანსზე.

**ამისათვის საჭირო იყო ანტირუსული რიტორიკის თავიდან აცილება: რუსეთთან სრული კონფრონტაციის ნაცვლად, უკრაინას შეეძლო დაეკავებინა ნეიტრალური სახელმწიფოს პოზიცია, ფინეთის ან ავსტრიის მსგავსად, „ცივი ომის“ დროს.**

ნეიტრალიტეტის გარანტიების კონსტიტუციაში დადასტურება: NATO-ში გაწევრების კურსის კონსტიტუციაში ჩაწერის ნაცვლად, უმჯობესი იყო ნეიტრალური სტატუსის შენარჩუნება, რაც მოსკოვთან დაპირისპირების მთავარ მიზეზს გააქრობდა.

**„მრავალვექტორული“ პოლიტიკა: უკრაინას შეეძლო დაეცვა ბალანსი ევროკავშირს, აშშ-სა და რუსეთს შორის, ყველა მხრიდან სარგებლის მიღებით, მაგრამ კონფლიქტში ჩარევის გარეშე.**

**ყირიმისა და დონბასის ავტონომია: ყირიმის, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის, განმტკიცება – ყირიმში პრორუსული განწყობების იგნორირების ნაცვლად, უმჯობესი იყო მიეცა მისთვის ფართო ავტონომია, მათ შორის, რუსული ენის ოფიციალური სტატუსი, თავისუფალი ვაჭრობა და საგადასახადო შეღავათები.**

**მინსკის შეთანხმებების შესრულება და ფედერალიზაცია: კიევს შეეძლო დონბასი ინტეგრირებული დაეტოვებინა ქვეყნის შემადგენლობაში ფართო ავტონომიის სტატუსით, ბოსნიისა და ჰონკონგის მოდელების მსგავსად.**

**ეკონომიკური დამოუკიდებლობა – სტრატეგიული რესურსების გაყიდვის აკრძალვა: 2014 წლიდან უკრაინამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სასარგებლო წიაღისეულის ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია. ალტერნატიული კურსი იქნებოდა უცხოური კომპანიებისთვის ამ აქტივებზე წვდომის შეზღუდვა.**

**პრაგმატული ეკონომიკა: რუსეთთან ვაჭრობის სრული გაწყვეტის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა თანამშრომლობის გაგრძელება, განსაკუთრებით მრეწველობაში, მეტალურგიასა და სოფლის მეურნეობაში.**

**შიდა ბაზრის განვითარება: აქცენტის გამახვილება ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის დივერსიფიცირებაზე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (ჩინეთი, თურქეთი, ახლო აღმოსავლეთი).**

**შიდა სტაბილურობა – ეროვნული შერიგების პოლიტიკა: 2014 წლის შემდეგ „დე-სოვეტიზაციის“, „დე-კომუნიზაციისა“ და რუსული ენის აკრძალვის ნაცვლად, უნდა განხორციელებულიყო ეროვნული შერიგების პროგრამა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ინტერესების გათვალისწინებით.**

**ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილებების თავიდან აცილება: კონსერვატიული მიდგომა გულისხმობდა, რომ 2014 წლის მაიდნის ნაცვლად, უკრაინას უნდა დაეცადა მომდევნო არჩევნებამდე, რათა შეენარჩუნებინა კანონიერება.**

**რა წავიდა არასწორად და რატომ?**

**დასავლეთზე გადაჭარბებული ფოკუსირება: უკრაინა მთლიანად გადაეწყო აშშ-სა და ევროკავშირზე, რაც მას რუსეთის მიმართ გავლენის ბერკეტებს ართმევდა;**

**რადიკალური ნაციონალისტური პოლიტიკა: ენის კანონი, რუსული მედიის აკრძალვა და სხვა ნაბიჯები ხელს უწყობდა შიდა დაპირისპირებას;**

**მინსკის შეთანხმებების უგულებელყოფა: კომპრომისების ძიების ნაცვლად, უკრაინამ გადაწყვიტა, დაელოდოს დასავლეთის სამხედრო მხარდაჭერას;**

**ეკონომიკური დამოკიდებულება აშშ-ზე: უკრაინამ დაუშვა სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ბუნებრივი რესურსების უცხოურ კომპანიებზე გადაცემა.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკრაინას თავისუფლად შეეძლო თავიდან აეცილებინა ტერიტორიული დანაკარგები, თუ აირჩევდა პრაგმატულ პოლიტიკას, ეროვნულ ერთობასა და ნეიტრალიტეტს. თუმცა, 2014 წლის შემდეგ კიევმა აირჩია მკვეთრი კონფრონტაციული გზა, რამაც გამოიწვია ომი, ტერიტორიების დაკარგვა და დასავლეთზე დამოკიდებულება. დაკარგული მიწების დაბრუნების პერსპექტივა პირდაპირ დამოკიდებულია უკრაინის კურსის ცვლილებასა და მის უნარზე, გახდეს დამოუკიდებელი მოთამაშე, ნაცვლად იმისა, რომ იყოს გარე ძალების ინსტრუმენტი. საქართველომ თავის დროზე უკრაინული შეცდომების დიდი ნაწილი გაიმეორა, მაგრამ საბოლოო კატასტროფამდე ორ ნაბიჯში, მას ეყო ძალა და ეროვნული თვითშეგნება, „გლობალური ომის პარტიისთვის“ ნამდვილი „დიდგორი“ გაემართა. როგორც ჩანს, უკრაინას ასეთ ბრძოლებში მონაწილეობის ისტორიული გამოცდილება უბრალოდ არ გააჩნია...**

## პოლიტიკური ჯორ-მართალი

### ტრამპი არ განაახლებს უკრაინისთვის დახმარების მიწოდებას, ვიდრე ზელენსკი თანამდებობას არ დატოვებს



**— ამის შესახებ გერმანული გამოცემა „ბილდი“ წერს.**

**„დონალდ ტრამპი აშანტაჟებს ზელენსკის იარაღის მიწოდებით, მოითხოვს მის გადადგომას პრეზიდენტის თანამდებობიდან და უკრაინაში არჩევნების ჩატარებას“,** – წერს **„ბილდი“**.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ადრე გამოცემა **„პოლიტიკო“** წერდა, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ უკრაინული ოპოზიციის წევრებთან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა, შემდეგ კი ამერიკელი მაღალჩინოსნები იულია ტიმოშენკოსა და პეტრო პოროშენკოს შეხვდნენ, რათა განეხილათ შესაძლო არჩევნები.

**„მე ვფიქრობ, რომ სამი კვირის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თავის ამერიკელ კოლეგასთან მარკო რუბიოსთან შეხვედრისას თქვა: „ზელენსკისთან არაფრის გაკეთება არ შეიძლება“,** – აღნიშნავს პოლიტოლოგი **თომას იეგერი „ბილდთან“** ინტერვიუში.

ამავე დროს, იეგერის თქმით, უკრაინაში შესაძლო ახალი არჩევნების ორგანიზება რთული იქნება, „და ეს იქნება იდეალური შესაძლებლობა პუტინისთვის, რომ მანიპულირება მოახდინოს მის შედეგებზე“.

### ოფიციალურად ვაუქმებთ USAID-ის პროგრამების 83 პროცენტს!..

**ექვსკვირიანი განხილვის შემდეგ, ჩვენ ოფიციალურად ვაუქმებთ USAID-ის პროგრამების 83 პროცენტს,** – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მარკო რუბიო** სოციალურ ქსელში წერს.



**„5200 კონტრაქტით, რომლებიც ახლა გაუქმებულია, ათობით მილიარდი დოლარი იხარჯებოდა ისე, რომ არ ემსახურებოდა (და ზოგიერთ შემთხვევაში აზიანებდა კიდეც) შეერთებული შტატების ძირითად ეროვნულ ინტერესებს. კონგრესთან კონსულტაციით, ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პროგრამების დარჩენილი 18%-ის (დაახლოებით 1000 კონტრაქტი) უფრო ეფექტიანი ადმინისტრირება განხორციელდეს. მადლობა მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს და ჩვენს შრომისმოყვარე პერსონალს, რომელმაც მრავალი საათი იმუშავა ამ დიდი ხნის საჭირო და ისტორიული რეფორმის მისაღწევად“,** – წერს **მარკო რუბიო**.

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის კიდევ ერთი აღიარება!




**აკადემიკოსი დავით გურგენიძე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის CERN-თან, ამ ერთ-ერთ უმსხვილეს კვლევით ცენტრთან კოლაბორაცია არაერთი სასიკეთო შედეგის მომტანი გახდა**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, CERN-ის ასოცირებული წევრი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე და სტუ-ის კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი CERN-ში, ასევე CMS ექსპერიმენტზე ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი ზვიად წამალაიძე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციას (CERN) შორის ურთიერთგაგების ახალი მემორანდუმების ფარგლებში, ჟენევაში, CERN-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.**

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და CERN-ს შორის სამეცნიერო კოლაბორაცია ორ ათეულ წელს ითვლის. ახალ მემორანდუმებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ქართულ სამეცნიერო სივრცეში და ითვალისწინებს სტუ-ის მეცნიერთა და მკვლევართა გლობალურ კვლევით პროცესებში გაცილებით ღრმა ინტეგრაციას, გასული წლის ოქტომბერში მოეწერა ხელი.**

„ურთიერთგაგების პირველი მემორანდუმი CERN-ში მიმდინარე CMS ექსპერტიმენტის HL-LHC ფაზის ფარგლებში განახლებას და მასში ჩვენი უნივერსიტეტის მკვლევართა მონაწილეობის გაგრძელებას ეხება, მეორე კი – CERN-ში მომავლის ციკლური კოლაიდერის, FCC-ის რეალიზების სამუშაოებში უნივერსიტეტის მეცნიერთა და ინჟინერთა აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს. CERN-ის სამომავლო სამეცნიერო საქმიანობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის მონაწილეობა, რაც საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, უმნიშვნელოვანესია როგორც უნივერსიტეტისა და მისი მკვლევრებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტებისთვის, ასევე, CERN-თვის“, – აცხადებს აკადემიკოსი **დავით გურგენიძე.**

როგორც რექტორი აღნიშნავს, CERN-ში ბოლო სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, რომელიც თებერვლის ბოლოს დასრულდა, მხარეებმა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი შეაჯერეს, რასაც ახალი მემორანდუმები მოიცავს.

„განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო მეორე დოკუმენტზე. მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „საუკუნის მემორანდუმი“, რომელიც რეგიონის სამეცნიერო სივრცეში პირველად, სწორედ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმდა. საუბარია მომავლის, **100 კილომეტრი სიგრძის ციკლური კოლაიდერის შექმნაზე და მისი ფიზიკური პროგრამის განხორციელებაზე.** ეს სამუშაოები დიდი ადრონული კოლაიდერის, LHC-ის ფიზიკური პროგრამის დასრულებისთანავე დაიწყება. ამჟამად, LHC-ის რეალიზების პარალელურად, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამუშაოები, მათ შორის, FCC კოლაბორაციაში ქვეყნების გაერთიანება, სამუშო ჯგუფების შექმნა – სამუშაო ვიზიტისას ყველა ეს საკითხი განვიხილეთ. საგულისხმოა, რომ FCC-თვის ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ამაჩქარებლის და უახლესი ტიპის დეტექტორების მიმართულებით. ამ სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი უნივერსიტეტის კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფი, ინსტიტუტის დირექტორის, CERN-ში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის, პროფესორ ზვიად წამალაიძის ხელმძღვანელობით. ისინი ამ ეტაპზე FCC პროგრამის ტექნიკური დიზაინის რეპორტის – TDR-ის შექმნაზე მუშაობენ“, – ამბობს **დავით გურგენიძე.**




მისი თქმით, სამუშაო ვიზიტი ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ განიხილეს CERN-ში მიმდინარე ერთ-ერთი უმსხვილესი CMS ექსპერტიმენტის განახლების საკითხები HL-LHC ფაზის ფარგლებში, რაშიც ასევე აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი.

„HL-LHC-თვის CMS ექსპერიმენტის განახლება ითვალისწინებს არა მხოლოდ ამჟამად მოქმედი დეტექტორების განახლებას, არამედ, ზოგიერთი მათგანის ახლით ჩანაცვლებასაც. განახლების პროგრამაში უაღრესად პრიორიტეტულია ახალი ტიპის მაღალი გრანულირების კალორიმეტრის – HGCAL-ის შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ **ეს არის უნივერსალური კალორიმეტრი, რომლის მსგავსიც მეცნიერებაში დღემდე არ შექმნილა და ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წვლილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინრები და მეცნიერები შეიტანენ. მნიშვნელოვანია, რომ წლების მანძილზე, ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ჯეროვნად აფასებს და გვიცხადებს ნდობას, რასაც მეგობრული განწყობებიც აძლიერებს. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, როცა გასულ წელს CMS ექსპერიმენტის ასოცირებულ წევრად ამირჩიეს – ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავებისა და CMS კოლაბორაციაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე, პირადი საორგანიზაციო და სამეცნიერო მიღწევებისთვის. უნივერსიტეტის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის მთავრობას, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ქართული უნივერსიტეტების საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით ქმედითი მხარდაჭერისთვის, რადგან ყველა მსგავსი ძალისხმევა ქართველ მეცნიერთა ახალგაზრდა თაობას საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევაში შეუწყობს ხელს“,** – აცხადებს **რექტორი.**

* * *

**CERN-ში ვიზიტისას აკადემიკოსი დავით გურგენიძე უშუალოდ გაეცნო განახლებული დეტექტორების კომპონენტების შექმნის, ტესტირების და ინტეგრაციის პროცესებს, შეაფასა მათი შესრულების ხარისხი და საიმედოობა.**

გარდა ამისა, მან CMS ექსპერიმენტში ჩართულ ქართველ მეცნიერებს გაუწია კონსულტაცია დეტექტორების ინჟინერიის საკვანძო ასპექტებზე, ოპტიმიზაციის სტრატეგიებსა და მომავალი კვლევითი მიმართულებების დაგეგმვაზე. რექტორი ამბობს, რომ უნივერსიტეტის მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ CERN-ის მოწინავე ექსპერიმენტული ფიზიკის პროექტებში, განსაკუთრებით CMS ექსპერიმენტის მიონური სისტემის RPC და HGCAL ჯგუფებში. მიმდინარე წელს მათ წარმატებით დაასრულეს 80 უახლესი IRPC კამერის, მათთვის საჭირო გაცივების სისტემის და ახალი თაობის ელექტრონიკის შექმნა, რაც CMS ექსპერიმენტის მოდერნიზაციის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ამ კამერების საბოლოო ტესტირება კი მიმდინარეობს კოსმოსური მიონების დანადგარზე, რომელიც CERN-ის N904 ლაბორატორიაში უნივერსიტეტის ფიზიკოსებმა – **იური გაღათურიამ** და **ირაკლი ლომიძემ** ააწყვეს.

როგორც დავით გურგენიძე აღნიშნავს, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში სამუშაო ვიზიტს წინ უძღოდა კონფერენცია – „წარსული, აწმყო და მომავალი თანამშრომლობა – Georgia-CERN“, რომელიც CERN-ის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ეგიდით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გასული წლის 17-18 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი: CG-24-234) გაიმართა. კონფერენციაში CERN-ის საბჭოს ახლადარჩეული პრეზიდენტი, პროფესორი **კოსტას ფონტასი** და ორგანიზაციის ცნობილ მეცნიერთაგან შემდგარი დელეგაცია მონაწილეობდა. რექტორის თქმით, ეს ნათელი დადასტურებაა CERN-ის პარტნიორული დამოკიდებულებისა და ხაზს უსვამს კოლაბორაციის გაღრმავების სურვილს ქართულ უნივერსიტეტთან, მის მეცნიერებთან.

„ჩვენი უნივერსიტეტი CERN/CMC კოლაბორაციის იმ წევრ ქვეყნებსა და წევრ უნივერსიტეტებს შორის აღმოჩნდა, რომელთაც ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის დელეგაცია, საიუბილეო თარიღის ფარგლებში, საქმიანი ვიზიტით სტუმრობდა. კონფერენცია რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ CERN-ის საბჭოს ახლადარჩეული პრეზიდენტი, პროფესორი **კოსტას ფონტასი,** რომელიც პირველად იმყოფებოდა საქართველოში, და ცნობილი მეცნიერები – CMS კოლაბორაციის რესურსმენეჯერის მოადგილე **ანჟეი ხარკიევიჩი**, CMS/HGCal კორდინატორი **დევიდ ბარნი,** CMS/RPC სუბდეტექტორის ხელმძღვანელი **სალვატორე ბუონტემპო**, CERN-ის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კოორდინატორი, არაწევრი ქვეყნების კომიტეტის ხელმძღვანელი **ლუჩანო მუსა,** CMS-ის ლიდერი **ტიციანო კამპორეზი**, CMS-ის წამყვანი მეცნიერი **კიარა მარიოტი**, CMS-ის რესურსების კოორდინატორი **კირსტი ასპოლა**. კონფერენციაში ასევე მონაწილეობა მიიღო ჩვენს უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით მყოფმა ცნობილმა იაპონელმა მეცნიერმა, იაპონიის მაღალი ენერგიის ამაჩქარებლის კვლევების ორგანიზაცია KEK-ის ეგიდით, იაპონიის პროტონის ამაჩქარებლის კვლევების კომპლექს J-PARC-ში მიმდინარე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი COMET ექსპერიმენტის მენეჯერმა, იაპონიის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მრჩეველმა, პროფესორმა **სატოში მიჰარამ**. ეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის აღიარებაა.

**აღსანიშნავია, რომ CERN-ის საბჭოს პრეზიდენტი, პროფესორი ფონტასი და CERN-ის მეცნიერები შეხვდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს ალექსანდრე წულაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და ქართველ აკადემიკოსებს. ეს შეხვედრა, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობდით, მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა.**

წლების მანძილზე, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმსხვილეს კვლევით ცენტრთან კოლაბორაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის არაერთი სასიკეთო შედეგის მომტანი გახდა. ჩვენს წარმატებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ CMS-ის რუკებზე ჩვენი უნივერსიტეტის გერბი განთავსებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების გერბებთან ერთად. ჩვენი კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი – პროფესორ **ზვიად წამალაიძის ხელმძღვანელობით, იური გაღათურიას, დავით ლომიძის, ოთარ კემულარიას, ირაკლი ლომიძის, სანდრო მელქაძის, გიორგი ადამოვის, დავით ჩოხელის** და სხვათა შემადგენლობით – ურთულეს სამუშაოებს ასრულებს დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე CMS ექსპერიმენტში“, – ამბობს **დავით გურგენიძე.**

**რექტორის შეფასებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ნაყოფიერი იქნება CERN-თან და მსოფლიოს სხვა უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრებთან სამომავლო სამეცნიერო კოლაბორაციის პროცესი, რადგან წარმატებით განხორციელებული საერთაშორისო პროექტები, გლობალურ სამეცნიერო ექსპერიმენტებში მონაწილეობა საგრძნობლად ზრდის ტექნიკური უნივერსიტეტის, მის მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში წარმატებით ინტეგრირების შესაძლებლობებს.**



# აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

**როგორ შეიძლება, ჩვენდამი სიძულვილმა ისე დაგაკარგვინოს კაცს გონება, რომ დაუმალავად ებრძოდე და აგინებდე მაშინ ყოვლის შემძლე ბერიას. ამუშავებდე ცკ-ის დადგენილებას და ნაციონალისტური და შოვინისტური იდეებით აქეზებდე მომხრეებს საბრძოლველად. ეტყობა, ახმეტელმა და წულუკიძემ სრულიად დაკარგეს გონება, დაავიწყდათ, რა სახელმწიფოში ცხოვრობენ, რა წყობილებას ეწინააღმდეგებიან და ისიც საშინელ 1937 წლის პერიოდში.**

**დანამდვილებით ვიცი, რომ საშას ურჩევდნენ ჩემს აღდგენას, არწმუნებდნენ, რომ თეატრიდან ჩემმა მოხსნამ ხალხში და თეატრის მეგობრებში უკმაყოფილება გამოიწვია. არაერთხელ მოსულან ბერიასგან, ცეკადან წინადადებით, რომ ცეკას აზრია, მე აღდგენილი ვყოფილიყავ. მაგრამ საშა ჯიუტი კაცი იყო და არავის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა.**

ზაფხული დაიწყო და კოლია შენგელაიამ მიმიწვია კინოსურათში „ნარინჯის ველი“ მონაწილეობის მისაღებად. მეც დავტოვე თბილისი და წავედი ქობულეთში კინოექსპედიციაში. თურმე, ახმეტელიც თავის ცოლით ქობულეთში ისვენებდა, მაგრამ მე მას არ შევხვედრივარ.

თბილისში დაბრუნებისას ბერიამ თითქმის ყველა, ვინც აპირებდა თეატრიდან წასვლას, გამოიძახა თავისთან, მეც გამომიძახა. საკითხი იყო თეატრის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვთხოვდით, რომელიმე სხვა თეატრში გავეგზავნეთ. უცბად ბერიამ თქვა:

**„თქვენ როგორ ფიქრობთ, თეატრი ძალიან იზარალებს, თუკი ახმეტელს მოვხსნით?“.** მე ეს ძალიან მეუცხოვა და ვთქვი: — **„რა თქმა უნდა იზარალებს!“ — „როგორ თუ იზარალებს?“** — მკითხა. ვუპასუხე: — **„90 პროცენტით იზარალებს“.** მოუვიდა გული და მითხრა: **„დაბრძანდით, პროცენტებისა არაფერი გესმით“.**

მეც გავჩუმდი. დამსწრენიც გაჩუმებულნი იყვნენ. მალე დაგვითხოვა.

**მე დიდად ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ ახმეტელს, როგორც დიდ შემოქმედს. პირადად მე დიდად მადლიერი ვარ მისი და არასოდეს დავივიწყებ, რაც მან ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, გააკეთა. მაგრამ ახლა საქმე ჩემში როდია. როგორ შემეძლო, წარმომედგინა რუსთაველის თეატრი უახმეტელოდ. მან ისე, როგორც არავინ, სახელი გაუთქვა ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობს, ქართველ რეჟისორს, თეატრს მთლიანად როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კავშირგარეთაც. მან შექმნა ნამდვილი ქართული თეატრი და დასახა გზები მისი შემოქმედებითი განვითარებისა. რასაკვირველია, თეატრს ჰქონდა აქა-იქ შეცდომები, მაგრამ თეატრი ზრდის პროცესში იყო და შეცდომებიც წარმოდგენიდან წარმოდგენამდე სწორდებოდა.**

მართალია, მე მოხსნილი ვიყავი თეატრიდან, მაგრამ ხომ არ შემეძლო რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ მეფიქ-

**გაგრძელება,**

**დასაწყისი იხილეთ „სრ“ №24, 25, 28-29, 30-35**



**ახმეტელი დადიოდა მოსკოვში ცეკას წევრებთან და აგინებდა ბერიას – მათი მეოხებით სურდა ბერიას ჩამოგდება. რასაკვირველია, მოსკოვიდან ბერიას ყველაფერს აცნობებდნენ.**

რა ასე: „თუ მე არ ვიქნები, ყველაფერი წყალს წაუღია“. ახმეტელი უნდა დარჩენილიყო თეატრში და განეგრძო მუშაობა ქართული თეატრის დიდებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ჩავიკეტე სახლში, გარეთ არ გამოვდიოდი და, როდესაც შემთხვევა მომეცა, თბილისს გავცილდი. მე არ მინდოდა, ჩემის მეოხებით თეატრს რაიმე ზიანი შემთხვეოდა. მე ისევ კინოში ვმუშაობდი და თეატრში არ გამოვჩენილვარ.

არ გასულა რამდენიმე დღე და გაზეთში დაიბეჭდა ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ ახმეტელი განთავისუფლებულია თეატრიდან და დანიშნულია მთავარ რეჟისორად აკაკი ვასაძე და მასთან სარეჟისორო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ვასაძე, დავითაშვილი, პატარიძე, ტუსკია, ირ. გამრეკელი და მე. არ მახსოვს, იყო სხვებიც თუ არა.

ჩემთვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. ახმეტელის მაგივრად ვასაძე — ძნელი წარმოსადგენი იყო.

როდესაც ახმეტელმა მიიღო ეს ცნობა, შეაგროვა დასი და დაიწყო დადგენილების დამუშავება. წულუკიძის მომხრეები გაიძახოდნენ, რომ არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას და სხვა ამგვარი. ახმეტელი, რასაკვირველია, არ მოელოდა მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას და მთელი სიბრაზე ჩემზე გადმოიტანა — მლანძღავდა, როგორც კი შეეძლო. კრებებზე ამბობდა, რომ მე კონტრრევოლუციონერი ვარ, ტერორისტი ვარ და სხვა ამგვარი. დასში იყო გინება ბერიასი.

ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა მუშაობას. ახმეტელს და მის მომხრეებს ჰქონდათ კრებები და გადაწყვიტეს, ახალი ხელმძღვანელობისათვის ჩუმი წინააღმდეგობა გაეწიათ. უშლიდნენ მუშაობას ხელს, დასში არევ-დარევა შეჰქონდათ და სხვა ასეთი. ყველას სწყინდა, რომ ახმეტელის საქმე ასე დაბოლოვდა, მაგრამ პარტიის დადგენილება დადგენილება იყო და მას ყველა უნდა დამორჩილებოდა. უმრავლესობა დასისა შეუდგა მუშაობას. ახმეტელმა გადაწყვიტა, რომ თავის ცოლთან ერთად მოსკოვს წასულიყო და იქიდან ებრძოლა ბერიას წინააღმდეგ. მისი მომხრეები თეატრში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახმეტელი ბერიას დაამარცხებდა და დაბრუნდებოდა თეატრში ისევ. იმხანად თეატრის დირექტორად დაინიშნა ვინმე გუგუნავა, ჩეკისტი, რომლის უჭკუო ხელმძღვანელობამ სულ აურია საქმე. დასში დარჩენილ ახმეტელის მომხრეებს და თვით ახმეტელს მოსკოვიდან ჰქონდათ მიწერ-მოწერა. რასაკვირველია, ამ წერილებში იყო ბერიასი და ჩვენი გინება და დარჩენილების გამხნევება, რომ ბერიას მალე მოეღებოდა ბოლო.

როგორც გამოირკვა, ეს წერილები ხელში უვარდებოდა გუგუნავას და მას კი მიჰქონდა ხელმძღვანელობასთან. თეატრიდან გაიტაცეს „დურუჯის“ დოკუმენტები, სხვადასხვა მიწერ-მოწერა ჩააბარეს მსახიობ პლ. კორიშელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კონსპირაციის მცოდნე იყო; მან ეს „დოკუმენტები“ რკინის ყუთში ჩასდო და სადღაც მიწაში ჩამარხა. ახმეტელი დადიოდა მოსკოვში ცეკას წევრებთან და აგინებდა ბერიას — მათი მეოხებით სურდა ბერიას ჩამოგდება. რასაკვირველია, მოსკოვიდან ბერიას ყველაფერს აცნობებდნენ.

ერთი ასეთი წერილიც კი დაიჭირეს ახმეტელისა, სადაც ის ახალ ხელმძღვანელობას სამშობლოს მოღალატეებად თვლიდა და აიმედებდა თავის მომხრეებს, მალე დადგება „ჩვენი დრო“ და იმ „ერის გამყიდველებს“ სასტიკად ვაგებინებთ პასუხს, ვუჩვენებთ სეირსო. ყველაფერი ეს გუგუნავას სიტყვებიდან ვიცოდით. ოცდათექვსმეტ წელს თეატრი მოსკოვში გაიგზავნა საგასტროლოდ, სადაც წარმატება ხვდა. ამბობენ, ახმეტელი ჩვენს წარმოდგენებს ქანდარიდან უყურებდაო. მოსკოვიდან დაბრუნებულები განვაგრძობდით მუშაობას. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ ახმეტელი მოსკოვში დაუპატიმრებიათ (მისი მოხსნის ერთი წლის შემდეგ) და ჩამოუყვანიათ თბილისშიო. ახმეტელთან ერთად დააპატიმრეს მისი აქტიური თანამებრძოლებიც! შავიშვილი, ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, პ. კორიშელი, ივ. ლაღიძე, თ. ქანთარია, ღვინიაშვილი, წულუკიძე, რასაკვირველია, ეს ტრაღედია იყო ჩემთვის. ახმეტელისა და წულუკიძის უჭკუობამ, წინდაუხედაობამ, ახალგაზრდა მსახიობების უვიცობამ და გულუბრყვილობამ დაპატიმრებამდე მიიყვანეს ისინი და ბოლოს დაღუპვამდეც.

როგორ შეიძლება, ჩვენდამი სიძულვილმა ისე დაგაკარგვინოს კაცს გონება, რომ დაუმალავად ებრძოდე და აგინებდე მაშინ ყოვლის შემძლე ბერიას. ამუშავებდე ცკ-ის დადგენილებას და ნაციონალისტური და შოვინისტური იდეებით აქეზებდე მომხრეებს საბრძოლველად. ეტყობა, ახმეტელმა და წულუკიძემ სრულიად დაკარგეს გონება, დაავიწყდათ, რა სახელმწიფოში ცხოვრობენ, რა წყობილებას ეწინააღმდეგებიან და ისიც საშინელ 1937 წლის პერიოდში. რასაკვირველია, მათი დაპატიმრება ჩვენ დაგვბრალდა (ამას ავრცელებდნენ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები). მე არ ვიცი სხვა და მე სრულიად არაფერი ვიცოდი ახმეტელის მიერ წამოწყებული „ბრძოლისა“ და ვცდილობდი, არ გავრეოდი ამ ბრძოლაში.

**მეცოდებოდა ახმეტელი, რაც უნდა იყოს, ჩემი მეგობარი იყო კონფლიქტამდე. გული მტკიოდა მისი უჭკუო საქციელისა გამო და აღშფოთებული ვიყავ წულუკიძით, რომლის კარიერისტულმა მისწრაფებებმა საშინელ ტრაღედიაში ჩააგდო თვით ახმეტელიც და მისი მომხრეებიც. მინდოდა შველა, მაგრამ რა შველა შემეძლო, როდესაც მე თვით ბეწვზე ვეკიდე (ისევ ავრცელებდნენ ხმებს, რომ მე მენშევიკი ვარ — არასდროს არ ვყოფილვარ არცერთ პარტიაში), ტერორისტი ვარ, რეზიდენტი ვარ და, ვინ იცის, კიდევ რა. მე დღემდე გულისტკივილით ვიგონებ იმ დღეებს და ვერ შევრიგებულვარ იმას, რომ კარგმა ამხანაგმა, შესანიშნავმა შემოქმედმა — წულუკიძის ჭკუას აჰყვა და — გაიუბედურა თავისი თავი და თავისი მომხრეებისაც. ასე იცის განდიდების მანიამ. ადამიანს თუ თავი მხრებზე არ აბია და მოვლენებში ვერ ერკვევა, თუ აჰყვა ავადმყოფური პატივმოყ-**



**აკაკი ვასაძე იაგოს როლში („ოტელო“)**

**ჩემთვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. ახმეტელის მაგივრად ვასაძე – ძნელი წარმოსადგენი იყო.**



**კაბინეტში მარტო ბერია დამხვდა, ოთახი ნახევრად განათებული იყო. არ მომესალმა, არც მიმიწვია დასაჯდომად. მაგიდის უჯრა გამოღებული ჰქონდა და შიგ რევოლვერი ჩანდა.**

**ვარეობის და თავმოყვარეობის გრძნობებს, თუ დაუპირისპირა თავისი თავი გარემოს, ის უთუოდ ხრამში გადაიჩეხება.**

●

**გამომიძახეს** ერთ დღეს ჩეკაში და მომცეს წინადადება, ჩემი ბიოგრაფია დამეწერა (მე მივხვდი, რომ ეს გამოწვეული იყო დაპატიმრებულების მიერ ჩემზე ნათქვამი ჩვენებით).

ვასაძე და აფხაიძეც გამოიძახეს და სთხოვეს დაეწერათ ყოველივე, რაც იცოდნენ ახმეტელის შესახებ. შეიძლება, სხვებიც გამოიძახეს, მაგრამ ამის შესახებ მე არ ვიცოდი რა.

დავწერე ჩემი ბიოგრაფია დაწყებული ბავშვობიდან. ჩემი ცხოვრების არა დამიმალავს რა. ბავშვობა, მოწაფეობა, სტუდენტობა, მენშევიკების პერიოდი, თბილისში გადმოსვლა, სახალხო სახლი, ფაღავას სტუდია, რუსთაველის თეატრში მუშაობა. ეტყობა, ჩემმა ბიოგრაფიამ ვერ დააკმაყოფილა ჩეკა. უნდოდათ, ახმეტელზე მეთქვა მეტი.

უნდოდათ, ახმეტელის პოლიტიკურ სახეზე მეთქვა.

მე ტყუილს ვერ ვიტყოდი და დავწერე, რომ არავითარი კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოური მასში არ შემინიშნავს, არც გამიგია, რომ რაიმე კავშირი ჰქონდა უცხოელ აგენტებთან (ეტყობა, უნდოდათ, ეს მეთქვა). ვთქვი, რომ დიდი რეჟისორია და კარგი საამხანაგო კაცი. არ შემინიშნავს, რომ ფარული კრებები იმართებოდა თეატრში მის კაბინეტში.

ეტყობა, ჩემმა ასეთმა დახასიათებამ ახმეტელისა ვერ დააკმაყოფილა ჩეკა და მოითხოვდნენ, კიდევ მეთქვა რაიმე, რაც მათ ესაჭიროებოდათ. ეს იყო მიზეზი, რომ მე თვით ბერიამ გამომიძახა შემდეგ ღამით. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ დამაპატიმრებდნენ — ისეთი ხმები დაყარეს ჩემზე და თან ყველამ ვიცოდით, რომ ბერიას კაბინეტიდან გზა მხოლოდ ჩეკაში იყო. სახლში არა ვთქვი რა. გულში გამოვემშვიდობე ოჯახს, სახლ-კარს და წავედი.

კაბინეტში მარტო ბერია იყო, ოთახი ნახევრად განათებული იყო. ბერიას მდივანი მაშინ ი. თავაძე იყო. შევედი. არ მომესალმა, არც მიმიწვია დასაჯდომად. მაგიდის უჯრა გამოღებული ჰქონდა და შიგ რევოლვერი ჩანდა.

**„– ყველაფერი დაწერეთ საკუთარ თავზე?** — მომმართა. – **ყველაფერი დაუფარავად დავწერე“**, – ვუპასუხე. – **„არაფერი დაგვიმალეთ?** მე ვუპასუხე: **– ყველაფერი დავწერე, რაც დანამდვილებით ვიცი, ხოლო რაც არ ვიცი, იმის შესახებ ხომ არ დავწერდი? – თქვენ იცით, თუ რას წერენ თქვენზე თქვენი ამხანაგები? – არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რისი დაწერაც შეეძლოთ რეპრესირებულ ადამიანებს, რომლებსაც ჩემი დაღუპვა უნდათ. – არა მარტო რეპრესირებულები, არამედ ისინიც, ვინც თავისუფალია.**

დაკითხვა მიმდინარეობდა საშინელი ცივი ტონით, თითქოს ავაზაკი ვიდექი მის წინაშე. მე ვუპასუხე:

**სამწუხაროდ, მე არ ვიცი, თუ რას წერენ ჩემზე, მაგრამ თამამად ვაცხადებ, რომ არც საბჭოთა ხელისუფლების, არც თქვენ წინაშე არანაირ დანაშაულს არ ვგრძნობ, და არც კი ვიცი, ვის შეეძლო ჩემზე ჩივილი. მიპასუხა, – მიამიტი კაცი ხარ!**

გადავწყვიტე, რომ ასეთი საუბრის შემდეგ ჩემი გზა ჩეკასაკენ იყო. მესმის, მცოდნოდა, რა ბრალდებას და ვინ მიყენებდა, გავცემდი მაშინ პასუხს, მაგრამ რომ არა ვიცოდი რა. გადავავლე თვალი ჩემს ცხოვრებას და ვერაფერი ვნახე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩემზე გულმოსული ყოფილიყო მას შემდეგ, რაც დავდექით საბჭოთა პლატფორმაზე, რაც განვაცხადეთ, რომ ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლებასთან და ვიბრძოლებთ საბჭოთა თეატრის შექმნისათვის, გარდა ერთგულებისა, პარტიისა და ხელისუფლების მიმართ სხვა არაფერი



აკაკი ხორავა სკანდერბეგის როლში

იყო ჩემს გულში. მთელის არსებით მივენდე ხელისუფლებას და ყოველი ჩემი მოქმედება თეატრის ინტერესებით იყო გამოწვეული. არც არავინ დამიჩაგრავს, არც ვინმეზე მითქვამს ცუდი, რომ ზიანი მიმეყენებინა. სინდისი ჩემი წმინდა იყო. მაგრამ მაშინ მარტო ჩემისთანა უდანაშაულონი დაიღუპნენ. ბერიამ აიღო ტელეფონი და ვიღაცას დაურეკა და უთხრა: **ახლავე მოდით და ხორავას ყველა საქმე მომიტანეთ.**

ახლა ნამდვილად გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე გათავებულიყო — მართალი კაცი უმართებულოდ ვიღუპებოდი. გავიდა ცოტა ხანი და შემოვიდა გოგლიძე (შინსახკომის უფროსი) მრავალი „პაპკით“ ხელში. დადგა კარებთან, დაელოდა ბერიას განკარგულებას. ბერიამ უთხრა — გაიცანით. არ იცნობთ? ხორავაა. გოგლიძეს სახეზე საშინელი გაკვირვება გამოეხატა — არ იცოდა, მართლა უნდა გამცნობოდა თუ ეს ბერიას რაღაც ოინი იყო ჩემ მიმართ.

**„გაიცანით, გაიცანით“!** — გაუმეორა გოგლიძეს. გოგლიძემ ხელი გამომიწოდა და ჩამომართვა. გაკვირვების იერი მის სახეს და ჩემს სახეს არ მოშორებია. **„ყველაფერი მოიტანეთ?** – მიუბრუნდა გოგლიძეს. „**ყველაფერი**“, — უპასუხა მან. **მაშ ასე, ამხანაგო ხორავა, დაბრძანდით და წაიკითხეთ, თუ რას წერენ თქვენი ამხანაგები, ჩვენ კი სხვა ოთახში გავალთ.**

და ორივენი გავიდნენ გვერდით ოთახში. ადვილი წარმოსადგენი არაა ჩემი მდგომარეობა: ვგრძნობდი, რომ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მომაგონდა ოჯახი, თეატრი, ვაი, რა უძლური ვარ, თავი დავიცვა. ვინ მიხსნის, ვინ გაიგებს ჩემ სიმართლეს. მაგრამ მაინც შევუდექი ჩემ მიმართ ჩვენებების კითხვას. სიკვდილის წინ მაინც მინდოდა, მცოდნოდა, ვინ იყვნენ ის „ამხანაგები“, ამ ყოფაში რომ ჩამაგდეს.

მე არ მიკვირდა, რომ რეპრესირებულნი ჩემზე დაწერდნენ, მათ უნდოდათ ჩემი დაღუპვაც, რასაკვირველია, თუმცა მათ ამ ყოფაში ჩავარდნაში მე არავითარი ბრალი არ მიმიძღოდა. მაგრამ, როდესაც წავიკითხე ჩვენებანი ისეთი „ამხანაგებისა“, რომელნიც თეატრში თავისუფლად დადიოდნენ, ამხანაგობას და სიყვარულს მეფიცებოდნენ, თითქოს განიცდიდნენ თეატრიდან ჩემს მოხსნას, ალბათ, აღელვებისაგან გული წამივიდოდა, რომ არ დაბრუნებულიყო ბერია და არ ეთქვა: **„„აბა, წავიკითხოთ?“**.

მე ვდუმდი; მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: სანამ შეიძლება ადამიანი დაეცეს, სანამ შეიძლება კაცის მზაკვრობა მივიდეს, რომ ასეთი რამ ჩაიდინოს — პირში გკოცნიდეს და ზურგს უკან სამარეს გითხრიდეს. ალბათ, ამ ხალხს სჭირდებოდა ჩემი თავიდან მოშორება. მე თვითონ წავიდოდი თეატრიდან, თუ მათ კარიერას ხელს ვუშლიდი.

შეკითხვა გამიმეორა. მე ვუთხარი: **„ყველაფერი, რაც აქ წერია, სიცრუე და პროვოკაციაა. ვგრძნობ, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრებულია, მაგრამ გთხოვთ, სანამ დამაპატიმრებთ, მომეცით შესაძლებლობა თქვენივე თანდასწრებით შევხვდე ამ ადამიანებს. მე მინდა მხოლოდ შევხედო მათ თვალებში და სახეში შევაფურთხო, მერე კი რაც გნებავთ, ის მიყავით“.**

გადაწყვეტილი მქონდა, სილა გამეწნა სათითაოდ ყველასათვის, სხვა საშუალება თავის მართლებისა მე არ მქონდა. ბერიამ დუმილის შემდეგ თქვა (მე ვგრძნობდი, რომ ეს დუმილი წყვეტდა ჩემ ბედს, მეც მას ველოდი) — **„დიახ, რა თქმა უნდა, მათ თქვენი და-**





**გავიდა ცოტა ხანი და შემოვიდა გოგლიძე (შინსახკომის უფროსი) მრავალი «პაპკით» ხელში. დადგა კარებთან, დაელოდა ბერიას განკარგულებას.**

**ღუპვა სურთ, ეს ცხადია. ხედავთ, როგორი ამხანაგები გყავთ?“** გაიარ-გამოიარა ოთახში და შემდეგ მითხრა: **„წადით მშვიდობით და იმუშავეთ, მაგრამ იცოდეთ, რაც წაიკითხეთ, თქვენშივე უნდა მოკვდეს, განსაკუთრებით კი ავტორთა გვარები. ეს ხალხი ჩვენ გვჭირდება. ენა არავისთან დაასველო, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან მკაცრად მოგთხოვთ პასუხს! ყველაფერი გასაგებია? ახლა წაბრძანდით“!**

მე გაბრუებული მომხდარით, მთვრალივით წამოვდექი და ბარბაცით წავედი კარისაკენ. უცბად შემაჩერა და მეუბნება: **„პარტიაში რატომ არ შედიხართ?“** ამ შეკითხვამ სულ დამიბნია დავთარი: ერთი წუთის წინ სიკვდილს ველოდი და ახლა პარტიაში შესვლაზე მელაპარაკება... **„როგორ?“**, — შევეკითხე. **„რატომ არ შედიხართ პარტიაში?“** — გამიმეორა შეკითხვა. იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, ასეთი წინადადება ძალზე გაუგებარი იყო ჩემთვის. **„შემოიტანეთ განცხადება!“.**

**„მე დიდი ხანია მინდოდა განცხადების შემოტანა, მაგრამ ახლა აღარ შემოვიტან“**, – ვუპასუხე.

**„რატომ? როგორ?“** – და დიდი გაკვირვება გამოესახა სახეზე.

**„ლავრენტი პავლეს ძევ! მას შემდეგ, რაც მე გავიგე საკუთარი თავის შესახებ „ჩემივე ამხანაგების“ ჩვენებებიდან, როგორ შემიძლია პარტიაში შესვლის განცხადების შემოტანა? ღმერთმა იცის, რა ცოდვები არ დამწამეს! კიდევ ერთხელ შეამოწმეთ ჩემი ცხოვრება! იქნებ ვმალავ რამეს და როცა დარწმუნდებით, რომ არაფერი დამიმალავს და შესაძლებლად ჩათვლით, რომ პარტიაში შევიდე, განცხადებასაც მაშინ შემოვიტან“.**

გულწრფელად მინდოდა შესვლა პარტიაში. მინდოდა, შევსულიყავ წმინდად. არ მინდოდა, ჩემი ცხოვრების ერთი მხარეც კი ყოფილიყო პარტიისთვის დაფარული, რადგან კარგად მესმოდა, რას ნიშნავდა პარტიაში შესვლა, რა დიდ პასუხისმგებლობას ავალებდა შემსვლელს. მთელის გულით ვიზიარებდი კომუნიზმის იდეებს და ვთვლიდი მათ ერთადერთ მიმართულებად, რომელსაც შეეძლო ხალხისათვის, ერისათვის მიეცა შვება და აღორძინება.

**(დასასრული იქნება)**



## The Daily Telegraph

**ბრიტანული გაზეთ „დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph) დაბეჭდილია სტატია სათაურით „მიეცით პატივმოყვარე დონალდ ტრამპს ნობელის მშვიდობის პრემია ახლავე, რომ მისი ჭეშმარიტი განზრახვა გავიგოთ“ (ავტორი – ჩალზ მური). პუბლიკაციაში განხილულია აშშ-ის პრეზიდენტის ქცევა-მოქმედების მიზეზები, რომლებიც განსაკუთრებით რუსეთთან ლოიალური დამოკიდებულებაში გამოიხატება.**

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**



Charles Moore

Give vain Trump the Nobel he craves now: only then will we learn his true intentions

Only after the President's ego has been indulged will we know if he is sincere about taming Russia and achieving peace in Ukraine

Charles Moore

Related Topics

Donald Trump, Republicans, Russia-Ukraine war, US Politics

07 March 2025 7:16pm GMT

723

Gift this article free

Credit: Chris Kleponis/CNP/Bloomberg

**რა მიზანი აქვს დონალდ ტრამპს? ნახევრად ხუმრობით რომ ვთქვათ, ნობელის კომიტეტმა, ალბათ, ისევე უნდა იმოქმედოს, როგორც ბარაკ ობამას მიმართ – სასწრაფოდ მიანიჭოს აშშ-ის 47-ე პრეზიდენტს მშვიდობის პრემია. მსოფლიო გაიგებს, მართლაც სურს თუ არა უკრაინის პრობლემის მოგვარება, თუ მისი ინტერესი მხოლოდ დროებითია.**

# ტრამპი და პუტინი ერთმანეთს უგებენ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს!

**ფართოდ არის ცნობილი, რომ დონალდ ტრამპს ნობელის მშვიდობის პრემიის მიღება სურს. ამერიკის პრეზიდენტების ბიოგრაფიის მიხედვით, მათგან მხოლოდ ორნი გახდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები – ჯიმი კარტერი და ბარაკ ობამა. პრეზიდენტ დონალდ ტრამპს აღიზიანებს, რომ დღემდე მან ნობელის პრემიის მიღება ვერ მოახერხა.**

თუ ჩვენ ბარაკ ობამას ჯილდოებისა და საპატიო წოდებების სიას დონალდ ტრამპისას შევადარებთ, აშკარად შევამჩნევთ, თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა: ნობელის პრემიის გარდა, ბარაკ ობამას მიღებული აქვს „გრემისა“ და „ემის“ პრემიები, ჯონ კენედის და რობერტ კენედის სახელობის პრემიები, აგრეთვე სულ მცირე 15 პრემია და 16 საპატიო წოდება.

ჰოდა, რატომ უნდა ჩამოუვარდებოდეს პრემიებისა და წოდებების მინიჭების საკითხში რესპუბლიკელი პრეზიდენტი დემოკრატ პრეზიდენტს? არადა, ფაქტი ჯიუტია: დონალდ ტრამპის გვარსახელი 1995 წლიდან მხოლოდ აზარტული თამაშების დიდების დარბაზს ამშვენებს, გასულ წელს კი იგი **McDonalds French Fry**-ს სერიფიკატით დაჯილდოვდა. სულ ესაა მისი მიღწევების აღიარება.

რასაკვირველია, ბარაკ ობამას ნობელის პრემიის მინიჭებაშიც არის გარკვეული არასასიამოვნო და საეჭვო მომენტები: კონკრეტულად რისთვის მიიღო მან – პრეზიდენტობის პირველ წელს, 2009-ში, ინაუგურაციიდან სულ რამდენიმე დღეში – ესოდენ პრესტიჟული პრემია, დღემდე მითქმა-მოთქმას იწვევს. თუ ამ პრინციპით, ალბათ, მისტერ დონალდ ტრამპს, პრემია 2017 წელს უნდა მიეღო, მაგრამ ახლა 2025 წელია, პრეზიდენტობის მეორე ვადა, ნორვეგიელები და შვედები კი მას ძველებურად არ აღიარებენ.

დონალდ ტრამპის სწრაფვა ჯილდოს მისაღებად არა მხოლოს პატივმოყვარეობაა. იგი გულწრფელად თვლის თავის თავს მშვიდობისმყოფელად. მართლაც, მისი პრეზიდენტობის წლებში ამერიკას არცერთი ომი არ დაუწყია, რაც ძალიან იშვიათობად ითვლება 21-ე საუკუნეში. მან ხელი მოაწერა ავღანეთის ომი შეწყვეტის (ჯარების გამოყვანის) შეთანხმებას 2020 წლის თებერვალში (სხვა საკითხია, როგორ ქაოსურად გამოიყვანა ჯო ბაიდენმა). სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დონალდ ტრამპის აგრესიული ენერგია უფრო მეტად მიმართულია მოკავშირეების შეურაცხყოფისკენ, ვიდრე მტრების დასაბომბად. დიახ, დონალდ ტრამპს გულწრფელად სურს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, მაგრამ მოდით, გავარკვიოთ, როგორ განსაზღვრავს იგი ტერმინ „მშვიდობას“.



**დიახ, დონალდ ტრამპს გულწრფელად სურს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, მაგრამ მოდით, გავარკვიოთ, როგორ განსაზღვრავს იგი ტერმინ „მშვიდობას“.**

ყველამ იცის, რომ პრეზიდენტი შეპყრობილია იდეით უკრაინაში მშვიდობის დამყარების თაობაზე. იგი ჯერ კიდევ არჩევამდე აცხადებდა, რომ ამ პრობლემის მოგვარებას თავისი პრეზიდენტობის პირველსავე დღეს მოაგვარებდა. მართალია, მას ზუსტად არ შეუსრულებია დაპირება, მაგრამ აშკარაა, რომ სწრაფად მოქმედებს.

ჩვეულებრივი მშვიდობისმყოფელები არაფორმალურ მოლაპარაკებებს ორივე მხარესთან აწარმოებენ და ცდილობენ მათგან გარკვეულ დათმობებს მიაღწიონ, შემდეგ კი მათთან ერთად მაგიდას უსხდებიან. დონალდ ტრამპი პროცესს ისე აჩქარებს, რომ მას არავითარი ბალანსი არ აინტერესებს, იგი თავის ყურადღების კონცენტრირებას და ზეწოლას იმ მხარისაკენ მიმართავს, რომლსაც სუსტად თვლის. იგი მეგობრულად ლაპარაკობს ვლადიმერ პუტინთან, რომელსაც აშშ რუსეთის მტრად ჰყავს გამოცხადებული, მაგრამ საჯაროდ ამცირებს ვოლოდიმირ ზელენსკის, რომელიც აშშ-ის ერთგული მეგობარია.

რამდენადაც ვოლოდიმირ ზელენსკი უარს ამბობს დათმობებზე აგრესორი რუსეთის მიმართ, დონალდ ტრამპისათვის იგი დაბრკოლებას წარმოადგენს მშვიდობის მიღწევის გზაზე. სანამ ეს დაბრკოლება არ იქნება განეიტრალებული, ვლადიმერ პუტინი თავს უფლებას აძლევს, როგორც სურს ისე მოიქცეს.

**რა მიზანი აქვს დონალდ ტრამპს? ნახევრად ხუმროზით რომ ვთქვათ, ნობელის კომიტეტმა, ალბათ, ისევე უნდა იმოქმედოს, როგორც ბარაკ ობამას მიმართ – სასწრაფოდ მიანიჭოს აშშ-ის 47-ე პრეზიდენტს მშვიდობის პრემია. მსოფლიო გაიგებს, მართლაც სურს თუ არა უკრაინის პრობლემის მოგვარება, თუ მისი ინტერესი მხოლოდ დროებითია.**

ამჟამად დონალდ ტრამპი წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში იმყოფება: იგი ცდილობს, მიზანს დაუბალანსებელი მოქმედებით მიაღწიოს და იმავდროულად უარს ამბობს მიღწეული შედეგის კონტროლზე პერსპექტივაში. ეჭვი მაქვს, რომ ჯერჯერობით არავინ იცის – არც სახელმწიფო დეპარტამენტმა და არც პენტაგონმა, მით უმეტეს, არც აშშ-ის ნატოელმა მოკავშირეებმა, თუ როგორი მტკიცე გეგმის ან როგორი სცენარის სახით შეიძლება სამშვიდობო პროცესი განვითარდეს. შესაძლოა, როცა დონალდი მშვიდობის პრემიის ლაურეატი გახდება, რაღაც სინათლეს შეიტანს საკითხში.

**გასულ კვირას ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთზეც ზეწოლას მოახდენს. „უკრაინას სურს გარიგებაზე დათანხმდეს, რადგან მას არჩევანი არ აქვს. ვფიქრობ, რუსეთსაც სურს გარიგება, იმიტომ, რომ... იმ განსხვავებული გარემოების გამო, რომელიც მხოლოდ მე ვიცი – არც (რუსებს) არ აქვთ არჩევანი“. საინტერესოა, რა განსხვავებული გარემოება არსებობს რუსეთისათვის?**

სამწუხაროდ, ტრამპის მალულ იდეებზე ჩვენ არაფერი არ ვიცით. რა პრინციპით მოქმედებს პრეზიდენტი? არსებობს ერთ-ერთი საკმაოდ გონივრული თეორია, რომელიც ამერიკელმა სტრატეგიის თეორეტიკოსმა ედვარდ ლიუტვაკმა წამოაყენა: ტრამპი „ანტინიქსონისებურად“ მოქმედებს (ნიქსონივით, მაგრამ საწინააღმდეგო მიზნით).

რიჩარდ ნიქსონი 1970-იან წლებში ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ჩინეთთან, რომ რუსეთი (საბჭოთა კავშირი) დაესუსტებინა. 2020-იან წლებში ტრამპი ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომ ჩინეთი დაასუსტოს. ამ თეორიას აქვს რეალური საფუძველი, იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს რუსეთის მიმართ (არაოფიციალური) ტერიტორიული პრეტენზიები აქვს აღმოსავლეთში, ხოლო რუსეთი ბევრად ჩამოუვარდება ჩინეთს ეკონომიკური განვითარებით

ერთადერთი, რითაც რუსეთი მნიშვნელოვნად ძლიერია ჩინეთზე, ეს არის ბირთვული იარაღის მეტი რაოდენობა. ამ მხრივ რუსეთი და აშშ თანაბარ დონეზე არიან, თითოეულს 10-ჯერ მეტი ბირთვული ქობინა აქვს, ვიდრე ჩინეთს. იბადება კითხვები: აქვთ თუ არა ვლადიმერ პუტინს და დონალდ ტრამპს რაიმე ერთობლივი ხედვა მსოფლიოში ერთად ბატონობის თაობაზე, რომელიც ბირთვული უპირატესობით არის განმტკიცებული? რამდენად შეიძლება მათი ერთობლივი შეთანხმებული ბატონობით მილიარდების დაზოგვა, იარაღის არსენალის შემცირება? ანუ მიაღწევენ თუ არა ისინი იმ წარმატებას, რომლის მიღწევა რონალდ რეიგანმა და მიხეილ გორბაჩოვმა 1986 წელს რეიკიავიკში ვერ შეძლეს?

რა თქმა უნდა, ჩემი ნათქვამი შეიძლება ვინმემ სპეკულაციად ჩათვალოს – ისევე როგორც მოსაზრება მინერალების შესახებ შეთანხმებაზე უკრაინასთან, რომელსაც, ვფიქრობ, რუსული განზომილება აქვს. თვითონ განსაჯეთ: იმ რესურსების თითქმის 40%, რომელსაც უკრაინა ამერიკას სთავაზობს, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ისევ ჩნდება კითხვები: აქვს თუ არა დონალდ ტრამპს იმის იმედი, რომ ორივე მხარეს – კიევს და მოსკოვს – იძულებულს გახდის მონაწილეობა მიიღონ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში, რომლის მთავარი ექსპლოატატორი თვითონ (აშშ) იქნება? იქიდან გამომდინარე, რომ „მახვილებისაგან შეიძლება არამარტო სახნისები გამოიჭედოს“, არამედ აქციებიც.

ეს ტრამპის გარდა არავინ იცის – მან ბოლო დროს რამდენჯერმე თქვა ფრაზა – „მხოლოდ მე ვიცი“. ალბათ, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მან რაღაც საკითხი პირადად ვლადიმერ პუტინთან „ჩააწყო“, ერთი-ერთზე. აი, ამ დროს ჩვენ უკვე მივდივართ ტრამპის დიდი ხნის პოზიციასთან, რომ ის და ვლადიმერ პუტინი დაზარალებულნი არიან – ორივე ცილისწამების მსხვერპლია კლინტონების, ბაიდენების, ამერიკული მასმედიის და „ღრმა სახელმწიფოს“ (deep state) მხრიდან და მათ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება შეუძლიათ.

დონალდ ტრამპი რუსეთს პირველად 1987 წელს ეწვია და შემდგომ პერიოდში ვლადიმერ პუტინიც ახლოს გაიცნო. ამასთან დაკავშირებით, მის წინააღმდეგ გავრცელებულია უამრავი [მაკომპრომეტირებელი] ხმები, რომლებიც არ დასტურდება, მაგრამ ფაქტია ის, რომ ტრამპი შინაგანად დარწმუნებულია – **ის და პუტინი ერთმანეთს უგებენ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.**

უკრაინასთან დაკავშირებული პოლიტიკა – ეს აშშ-ის პოლიტიკა კი არ არის, არამედ უშუალოდ მისი, დონალდ ტრამპის პოლიტიკაა. სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო დიდი ხნის განმავლობაში იყო ატლანტიზმის ერთგული, მაგრამ ახლა იგი, როგორც ჩანს, ტრამპის გავლენით, პუტინის პროპაგანდას იმეორებს, როცა ამბობს, რომ უკრაინაში ამერიკა და ნატო ომს რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებენ, „სხვისი (უკრაინელების) ხელით“.

ტრამპის მოქმედების სისტემას ხშირად ადარებენ მაფიის სისტემას და მისი ფორმირება უფრო მეტად ფლორიდაზე არსებულ რეზიდენციაში – მარა-ლაგოში ხდება, ვიდრე თეთრ სახლში. მაფიოზური სისტემის დროს ორ დაჯგუფებას შორის ურთიერთობა ხშირად ხასიათდება ერთმანეთის პოზიციისადმი „პატივისცემით“ – კონცეფციით, რომლითაც ისარგებლეს დონალდ ტრამპმა და ჯეიმს ვენსმა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ. როგორც ჩანს, ტრამპი და პუტინი ერთმანეთს უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ლიდერი.

**ამიტომაც ჩვენ ყველა – დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, კანადა და ნატოელი მოკავშირეები – იმ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ (თუმცა შეიძლება ვცდები), რომ როცა უკრაინას დაცვა სჭირდება, ის მხოლოდ ჩვენ უნდა დავიცვათ.**

**სამხედრო და ფინანსური თვალსაზრისით რუსეთი უფრო სუსტია, ვიდრე ეს დონალდ ტრამპს ჰგონია, ამიტომაც უკრაინის დაცვა ჩვენი ძალებით ნამდვილად შეგვიძლია. გვაქვს თუ არა ამის პოლიტიკური ნება – ეს უკვე სხვა საკითხია...**

მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ელვინ ნასიბოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** ელვინ ნასიბოვი (პ/ნ 36001042327), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 I ჩიხი N4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 I ჩიხი N3 (საკადასტრო კოდი: 55.21.51.040.020)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 11 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 25 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP106333425;**
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1063334

6. **მოვალე:** ელვინ ნასიბოვი (პ/ნ 36001042327), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 I ჩიხი #4

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB**1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის **N71271HZP106333425**; ლოტის ნომერი: 1063334).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 25 მარტის 12:00 საათამდე.




# გამარჯვებული
## გამომცემლობები გამოვლინდნენ

**მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული ხელშეწყობის პროგრამა გამომცემლობებისთვის, რომელიც ითვალისწინებს გამომცემლობების მიერ წარმოდგენილი, წიგნად გამოსაცემი ნაწარმოებების ფინანსურ მხარდაჭერას (არანაკლებ 3 000 და არაუმეტეს 5 000 ლარის ოდენობით), დასრულდა.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში შევიდა 25 განაცხადი, რომლებიც განიხილა სპეციალურმა კომისიამ და გამოავლინა გამარჯვებულები:

გამომცემლობა **„ბილიკები“** (რევაზ კვერენჩხილაძე – „საბუთები ღაღადებენ“);

გამომცემლობა **„მერიდიანი“** (გიორგი სოსიაშვილი – „რჩეული მოთხრობები“);

გამომცემლობა **„უნივერსალი“** (ამირან გომართელი – „ტრადიცია და ტრადიციის კვალდაკვალ“);

გამომცემლობა **„საუნჯე“** (გივი ჩიღვინაძე – „სურათები ძველი ალბომიდან“);

გამომცემლობა **„წიგნი+ერი“** (ჯეკო სვიმონიშვილი - „წითელი სიკვდილი“, სალომე ტაბატაძე - „სამი დეტექტივი“, სერგო ქიტიაშვილი - „პარანოია“).

**„კომისიის გადაწყვეტილებით, უპირატესობა მიენიჭა გამომცემლობებს, რომლებმაც წარმოადგინეს იმ ავტორთა წიგნები, რომელთა შემოქმედება (ნაშრომი) ზედმიწევნით პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და აქტიურად არის ჩართული ლიტერატურულ პროცესებში. სტანდარტულად, ერთი გამომცემლობისთვის დაწესებულ დაფინანსებას მიიღებს.**

**უნდა აღინიშნოს, რომ „წიგნი+ერის“ მიერ წარმოდგენილი სამივე ავტორი დებიუტანტია. შესაბამისად, კომისიამ მხარი დაუჭირა პერსპექტიული ახალგაზრდა ავტორების წარმოჩენას და გამომცემლობას მისცა შესაძლებლობა, დასტამბოს დებიუტანტი პოეტები და პროზაიკოსები.**

**პროგრამის ფარგლებში შემოსული 25 განაცხადიდან, ვინაიდან ბევრი იყო საყურადღებო და საინტერესო პროექტი, რომლებიც ამჯერად ვერ მოხვდნენ ხუთეულში, კომისიის გადაწყვეტილებით მათ მიეცემათ შესაძლებლობა, დასახელდნენ გამარჯვებულთა შორის, ახალ ხუთეულთან ერთად, პროგრამის მომდევნო გამოცხადებისას, რომელიც ამა წლის სექტემბერში იგეგმება“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს
# განცხადება

სსე

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 28 თებერვლის N1-1/65 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. ,,წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. ეგხ ,,წყალტუბო-ახალციხის'' მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა ეგხს ზემოქმედების არეალში მოქცეული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე შალვა ხეცურიანის (პ/ნ 60003000127) საკუთრებაში არსებული 1939 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 29.09.46.379) ნაწილის, კერძოდ, 9 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (9 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 28 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/65** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე შალვა ხეცურიანის (პ/ნ 60003000127) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.09.46.379; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება:**

**მიწის ნაკვეთის 1939 კვ.მ.-ის ნაწილი - 9 კვ.მ.** პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს
# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 28 თებერვლის N1-1/65 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. ,,წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. ეგხ ,,წყალტუბო-ახალციხის'' მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა ეგხს ზემოქმედების არეალში მოქცეული, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარხანაში, ვარხანი-ლავრენტის ბუტკის პირდაპირ მდებარე ემზარ მინაძის (პ/ნ: 03001014724) საკუთრებაში არსებული 2700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 61.12.27.126) ნაწილის, კერძოდ, 205 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (205 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 28 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/65** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარხანაში, ვარხანი-ლავრენტის ბუტკის პირდაპირ მდებარე ემზარ მინაძის (პ/ნ: 03001014724) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**– უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 61.12.27.126; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება:**

**მიწის ნაკვეთის 2700 კვ.მ.-ის ნაწილი - 205 კვ.მ.** პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.



# ხელბურთელების პატივცემა

**მსურს, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს იმ ისტორიული შედეგისთვის, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აჩვენეთ. ეს თქვენი შრომის, მიზანდასახულობისა და საკუთარი თავის რწმენის შედეგია,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა** ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრების ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონიაზე, სპორტსმენებისადმი მიმართვისას განაცხადა.

საქართველოს პრეზიდენტმა ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრები, მწვრთნელები, პერსონალი და ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელი პირები ღირსების ორდენებითა და ღირსების მედლებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისა და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე დააჯილდოვა.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები სპორტსმენებს განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისთვის – კერძოდ, ხელბურთში ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ისტორიული შედეგის მიღწევისა და აღნიშნული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე წარმატებული ასპარეზობისთვის გადაეცათ.

**„მსურს, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს იმ ისტორიული შედეგისთვის, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აჩვენეთ. ეს თქვენი შრომის, მიზანდასახულობისა და საკუთარი თავის რწმენის შედეგია. მიმაჩნია, რომ სპორტში ყველაზე კარგად ჩანს ქართველი ადამიანის მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი, ის თვისებები, რომლებიც ყველაზე მეტად აძლიერებს ჩვენს ერს.**

**ჩვენ უკვე არაერთხელ ვნახეთ და დავრწმუნდით, თუ როგორ შეუძლია თითოეულ გამარჯვებას ჩვენი საზოგადოების გაერთიანება, სიამაყითა და სიყვარულით ავსება.**

**მჯერა, თქვენი თავდაუზოგავი შრომით, სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის თანადგომით წინ კიდევ არაერთი გამარჯვება გელოდებათ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრჯერ გაახარებთ ქართველ გულშემატკივარს.**

**მინდა, წარმატება გისურვოთ მომავალ ასპარეზობაში, რომელიც 13 მარტს გაიმართება. გახსოვდეთ, რომ მოედანზე გასვლისას თქვენ უკან დგას ქართველი გულშემატკივარი, რომლის სიყვარული და მხარდაჭერა აუცილებლად დაგეხმარებათ გამარჯვების მოპოვებაში,“** – განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებს, მწვრთნელებსა და ხელბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს სახელმწიფო ჯილდოების მიღება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** და სპორტის მინისტრმა **შალვა გოგოლაძემ** მიულოცეს.



# «...ქვეყნის თვალო»

**დიახ, სწორედ დიდი ვახტანგის საამაყო შვილს უნდა დაეწერა, დარწმუნებულნი ვართ, ქართველთათვის სამაგიდო წიგნი „ერთი ჩემპიონი ქალის ისტორია“, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ყველა პარამეტრს აკმაყოფილებს, გნებავთ, პერსონაჟთა პიროვნულ ღირსებებსა თუ ერისქალობას, გნებავთ, მათ მიერ სპორტისა თუ ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს, ან თუნდაც თანამედროვეობაში ასე მოდურად ქცეულ გენდერულ სულისკვეთებას.**

ეს სათქმელადაა ადვილი, წიგნის თარო ახალი ნაღვაწით გაგვიმდიდრაო, მაგრამ აბა სცადეთ და შეეჭიდეთ ისეთ ერთი შეხედვით ამოუწურავ თემას, როგორიცაა ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ თუ პრიზიორ ქართველ მანდილოსანთა მიღწევების ამსახველ მონაცემთა მოძიება, თავმოყრა, ერთ მძივად აკინძვა და გამოცემა.

ჰოდა, უღრმესი მადლობა ჩვენს ძვირფას კოლეგას, აქამდე ბევრისთვის მხოლოდ ტელეჟურნალისტად ცნობილ **თამარ ბალავაძეს** ტიტანური შრომისა და საკუთარი მოწოდების ერთგულებისათვის. გვწამს, გაგრძელება იქნება!




# მხეცის ხახაში

**UFC-ის ქართველმა ჩემპიონმა მერაბ დვალიშვილმა MMA-ს გულშემატკივრებთან შეხვედრა მოაწყო, სადაც სამახსოვრო სურათებს იღებდა და ხელმოწერებს არიგებდა.**

ამ დროს ერთ-ერთმა ქომაგმა ქართველის პროვოცირება სცადა, ის მერაბთან მივიდა და სურათზე ხელმოწერას სთხოვდა, რომელშიც მერაბ დვალიშვილისა და რიკი სიმონსის ორთაბრძოლის შემდგომი მომენტი იყო ასახული. (ქართველი მებრძოლი აღნიშნულ დაპირისპირებაში გილიოტინას გადაურჩა, მან ბოლომდე გაძლო, მაგრამ მსაჯებმა საბმიშენით წაგება ჩაუწერეს.)

გეტყვით, რომ ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში, სადაც MMA-ს გულშემატკივრები მერაბ დვალიშვილს მხარს უჭერენ და ამხნევებენ.




# პირველად თბილისში

**რუმინეთთან 43:5 გამარჯვების შემდეგ ბორჯღალოსნებმა ერთი კვირა დაისვენეს და 34-კაციანი გაფართოებული შემადგენლობით 2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის მზადებას შეუდგნენ.**

სატიტულო შეხვედრას 16 მარტს 16 საათზე თბილისის „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონი უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში საქართველო მიჯრით მერვე, ჯამში კი მე-17 ტიტულს მოიხვეჭს.

რაგბი ევროპის ჩემპიონატი 2000 წლიდან იმართება და მას თავდაპირველად ერთა თასი ეწოდებოდა, ამჟამინდელი სახელწოდება კი 2015 წლიდან მიიღო. ტურნირის ფორმატი რამდენჯერმე შეიცვალა. 2003-2008 წლებში გამარჯვებული ორი წლის ჯამით ვლინდებოდა, რის გამოც განვლილ 25 წელიწადში თასი 22-ჯერ გათამაშდა. 2010 წლის ჩათვლით, საქართველომ ჩემპიონობა 3-ჯერ მოიპოვა, რუმინეთმა 4-ჯერ, ერთხელ კი ამ გუნდების დავაში პორტუგალიაა ჩაერია (2003-2004). 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველომ პირველი ადგილი ერთადერთხელ, 2017 წელს ვერ დაიკავა (გაიმარჯვა რუმინეთმა), მას შემდეგ კი ევროპულმა თასმა თბილისში დაიდო ბინა.

2023 წლიდან ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 6-დან 8-მდე გაიზარდა, გუნდები ორ ჯგუფად გაიყო და დაინერგა ნახევარფინალისა და ფინალის სისტემა. წინა ორ ფინალში პორტუგალია დავამარცხეთ – ჯერ ესპანეთში, ბადახოსში, მერე კი საფრანგეთში, პარიზში. ამრიგად, თბილისი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალს წელს პირველად მასპინძლობს და მეტოქეც განსხვავებული გვეყოლება, რადგან ნახევარფინალში პორტუგალიას ესპანეთმა სტუმრად 42:31 მოუგო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბორჯღალოსნები ესპანეთს წელს ერთხელ უკვე ეთამაშნენ და ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში მადრიდში 62:32 დაამარცხეს.

**რიჩარდ ქოქრილმა** ფინალური მატჩისთვის გაფართოებულ შემადგენლობაში 19 მორკინალსა და 15 ხაზის მოთამაშეს უხმო. მათ შორის ორი ისეთი მორაგბეა, რომლებიც სანაკრებო შეკრებაზე წელს პირველად არიან. ესენი არიან „ორიაკის“ კვაჭი **ლუკა ნიორაძე** და ლა როშელის ბურჯი **ალექსანდრე ქუნთელია**. ნიდერლანდებთან მატჩის შემდეგ გაფართოებულ შემადგენლობაში დაბრუნდა „პროვანსის“ მესამეხაზელი **თორნიკე ჯალაღონია**.




გაფართოებულ შემადგენლობაში 20 ლეგიონერია, 14 კი „შავ ლომს“ წარმოადგენს.

### ბორჯღალოსანთა გაფართოებული შემადგენლობა 2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის

პირველი ხაზი: **ნიკა აბულაძე (მონპელიე), გიორგი ახალაძე (კლერმონი), გიორგი მამაიაშვილი (გრენობლი); ვანო კარკაძე (მონპელიე), ლუკა ნიორაძე (ორიაკი), ირაკლი ქვათაძე (შავი ლომი); ირაკლი აფციაური (ლიონი), ლუკა ჯაფარიძე (მონპელიე), ალექსანდრე ქუნთელია (ლა როშელი);**

მეორე ხაზი: **მიხეილ ბაბუნაშვილი (შავი ლომი), ლადო ჩაჩანიძე (შავი ლომი), გურამ ღანიაშვილი (შავი ლომი);**

მესამე ხაზი: **ლუკა ივანიშვილი (შავი ლომი), ბექა საღინაძე (ლიონი), ბექა გორგაძე (პო), გიორგი ცუცქირიძე (შავი ლომი), ილია სპანდერაშვილი (ვალანსი), ბექა შვანგირაძე (ლიონი), თორნიკე ჯალაღონია (პროვანსი);**

ღერძი: **ვასილ ლობჟანიძე (ოიონა), გელა აფრასიძე (პერპინიანი), მიხეილ ალანია (ორიაკი); ლუკა მატკავა (შავი ლომი), ლუკა ცირეკიძე (შავი ლომი);**

ცენტრი: **გიორგი კვესელაძე (გრენობლი), დემურ თაფლაძე (შავი ლომი), თორნიკე კახოიძე (შავი ლომი), გიორგი შველიძე (ბრივი);**

ფრთა: **სანდრო თოდუა (შავი ლომი), შალვა აფციაური (შავი ლომი), აკაკი ტაბუცაძე (შავი ლომი), ამირან შვანგირაძე (შავი ლომი);**

ფულბეკი: **დავით ნინიაშვილი (ლიონი), დაჩი პაპუნაშვილი (ორიაკი).**

# ხაზარაძის და ზურაბიშვილის პოლიტიკური ფლირტის სევდიანი ისტორია ისე დასრულდა, არც დაწყებულა

(მესამე გვერდიდან)

**„მოედანი ცალკე გასულა და პარტიას აფუძნებს. წარმატებებს ვუსურვებ. ეგებ მამუკა ხაზარაძეც დაგვეხსნას ამ ოთხ ბარიერგადალახული პარტიით, ნუღარ გვაწუხებს: შეეგუოს, რომ ჩაუვარდა ინვესტიცია. შეეგუოს, რომ პოლიტიკური განკროტია და ვერც იმას აერ**ლობა, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ამიტომ ასეთ გაერთიანებას არანაირი პოლიტიკური შედეგი არ ექნება.

**„ოპოზიციის პრობლემა გაერთიანებაში კი არ არის, მათი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხში ამ პოლიტიკურ ლიდერებს ნდობა და გავლენა არა აქვთ. ზურაბიშვილის ფაქტორს ქვეყნის შიგ**

**ერთიანება არ უშველით. ხალხის დაკვეთაა ახალი პოლიტიკოსები და ახალი სახეები. ამიტომ ახალი ძალა უნდა გამოჩნდეს. ძველის გაერთიანება-არგაერთიანებას არა აქვს არანაირი აზრი“**, – ამბობს ძაბირაძე.

**ანალიტიკოს გია აბაშიძეს** კი მიაჩნია, რომ ოპოზიციის ეს გაერთიანება სერიოზულად არ აღიქმება, რადგან მოსახლეობაში მათ მიმართ ის მხარდაჭერაც გაქრა, რაც არჩევნებში მიიღეს. აბაშიძე for.ge-სთან ფიქრობს, რომ ზურაბიშვილი საქართველოს მოსახლეობაში არანაირი გავლენით და ავტორიტეტით არ სარგებლობს.

**„რა შეიძლება ამათ გაჭირვებაზე ითქვას? ძალიან არასერიოზული ხალხია და ეს ჩვენმა მოქალაქეებმა არაერთხელ დაინახეს, მით უმეტეს ახლა, როცა ამდენი ხნის განმავლო**



**თიანებს, ვისაც ფული ახარჯა. შეწყვიტოს ოპოზიციაში კუდიანების ძიება და ცილისმწამებლური კამპანიები ოპოზიციური პარტიების მიმართ. გაიაზროს, რომ თან ერთიანობას ითხოვდე და თან ვისაც ერთიანობას სთხოვ, რუსულ პროექტად რაცხავ, თავად აყენებს უხერხულ მდგომარეობაში“**, – წერს **თამარ ჩერგოლეიშვილი.**

ოპონენტების გეგმების მიმართ მმართველი გუნდი ძალიან სკეპტიკურად არის განწყობილი.

**ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამიშვილი** ამბობს, რომ მამუკა ხაზარაძის განცხადებები ბადრი ჯაფარიძისთვისაც აღარ არის საინტერესო, არათუ ამ ქვეყნის რომელიმე მოქალაქისთვის.

როგორც იონათამიშვილმა აღნიშნა, რადიკალური ოპოზიცია განადგურებულია და მათთვის დიდი ყურადღების დათმობა არ უნდა მოხდეს.

**„აქამდე უცხო ძალების მხრიდან იმართებოდნენ. როგორც ჩანს, მათი პატრონები შავ დღეში არიან და ეს მათზეც აისახება. ისინი ამ ქვეყნის წარსულს და ისეთ ოპოზიციას წარმოადგენენ, რომელიც არსად არ უნდა იყოს. ამ ადამიანებზე საუბარი უხერხულიცაა“**, – განაცხადა **იონათამიშვილმა.**

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** ასეთი გაერთიანების პერსპექტივას ვერ ხედავს. ძაბირაძე for.ge-სთან ამბობს, რომ ზურაბიშვილის ფაქტორს ქვეყნის გარეთ უფრო აქვს მნიშვნე**ნით არა აქვს დიდი გავლენა. მისი ფაქტორი მნიშვნელოვანი უფრო ქვეყნის გარეთ არის. პრობლემა უნდა დაისვას და ოპოზიცია ამას ვერ ახერხებს. პრობლემა კი ისაა, რომ ოპოზიციას არა აქვს ხალხთან კომუნიკაცია და ნდობა არ გააჩნიათ. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, როგორ ჩავატარებთ არჩევნებს, არ არის მნიშვნელოვანი. ხალხს აქვს სერიოზული პრობლემები, რომელზეც უნდა რომ პოლიტიკოსებმა, ოპოზიციამ ისაუბროს. აქედან გამოსავალზე ისაუბრონ. ოპოზიციას აქვს ტელევიზიები, მაგრამ გადახედეთ რესპონდენტებს, რომლებიც იქ არიან წარმოდგენილები. ისეთი ადამიანები გამოჰყავთ, რომლებიც ან ხელისუფლებაში იყვნენ უკვე ან ოპოზიციაში წლებია არიან, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. ხალხს რომ ესაუბრებიან ადამიანის უფლებების დაცვაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ლიდერები, ამაზე ხომ ხალხი ბრაზდება, ღიზიანდება. ეს ხომ მათ თვალებში ნაცრის შეყრაა. ამ მედიების ნდობაც იკარგება მერე. ამ ყველაფერზე ოპოზიციას საფიქრალი აქვს. მარტო ტელევიზიებში ჯდომა და გულზე მჯიღის ცემა, ხალხის ლანძღვა არაფერს უშველის. საკუთარ თავში უნდა ეძიონ პრობლემა და გამოსავალი დასახონ. ზურაბიშვილის ლიდერობით გაბაში საკუთარი თავი პოლიტიკურად გაინადგურეს, ვერც გეოპოლიტიკურ პროცესებს მოერგნენ და ვერც ქვეყნის შიგნით ხალხის სურვილი გაიგეს რეალურად რა არის. მათი მთავარი მიზანია, როგორმე ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება გადააგდონ. ამ მიზნით აკეთებენ ყველაფერს. რას ნიშნავს ხაზარაძის, სალომე ზურაბიშვილის და სხვების იდეა, რომ რაღაც ალტერნატიული ცენტრი უნდა შეიქმნას? ამით აღიარებენ, რომ აქამდე ცალ-ცალკე იყვნენ? თუ ერთმანეთში თანხმობა არ აქვთ? თავის დროზე სალომე ზურაბიშვილმა ხომ შესთავაზა ე.წ. ქართული ქარტია, რომელსაც ვითომ რაღაც დათქმები და ვალდებულებები ჰქონდა. ეს შესრულდა თუ არა, თავადაც არ იციან.**

**რადიკალურ ოპოზიციურ ფლანგზე გამოკვეთილი ქარიზმატული ლიდერების სერიოზული დეფიციტია. ვერც ე.წ. დემონტაჟი მოახდინეს ლეგიტიმური ხელისუფლების და თავიანთ საგარეო პატრონებს ვერც ის დაუმტკიცეს, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია. უმჯობესია, მოემზადონ ადგილობრივი არჩევნებისთვის და იქ გაზომონ საკუთარი რეიტინგები, სხვაგვარად არაფერი გაერთიანება ამათ არ უშველით. მით უმეტეს ზურაბიშვილის იმედზე ყოფნა ხომ სასაცილოა“**, – აცხადებს **აბაშიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ბიძინა ივანიშვილის კრიპტოვალუტის მითვისების საქმეზე გიორგი ბაჩიაშვილს სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



**„თანაინვესტირების ფონდის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის კრიპტოვალუტის მითვისებაში ბრალდებული გიორგი ბაჩიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გელაშვილმა მიიღო. გელაშვილმა გიორგი ბაჩიაშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ორივე ქმედებაში – როგორც დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზებაში. თანხის მითვისების ნაწილში, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო უკანონო შემოსავლის ლეგალიზებაში – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ უკანასკნელმა 10-წლიანი სასჯელი შთანთქა და მას საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთა 11 წლით განესაზღვრა.

საქმეზე გიორგი ბაჩიაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 182 -3 „ბ“ და 194 – 3 „გ“ ნაწილებით ჰქონდა წარდგენილი, რაც დიდი ოდენობით თანხის მითვისებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას გულისხმობს, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

# მორაგბე ლუკა მატკავას 28 წლის ძმა ბინაში გარდაცვლილი იპოვეს!



**თბილისში, ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონში მომხდარ უბედურ შემთხვევას ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა. 28 წლის ნიკა მატკავა ბინაში გარდაცვლილი იპოვეს.**

როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცი მორაგბე ლუკა მატკავას ძმაა. ახლობლები ამბობენ, ის, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვის შედეგად გარდაიცვალა. ბიჭი სახლში მარტო იყო და როგორც ჩანს, ვერ შეძლო თავის დაღწევა, ცხედარი ბინაში აღმოაჩინეს. ნიკა და ლუკა პატარები იყვნენ, დედა რომ დაეღუპათ.

**ქართული რაგბის ოჯახის სახელით დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ნიკა მატკავას გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახს, მის ახლობლებსა და მეგობრებს. გამაგრდი, მატკო“** – წერია სამძიმრის წერილში.

# „ბრმა ტყვია“ საცხოვრებელი კორპუსის რამდენიმე ბინაში შევარდა

**თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, რამდენიმე გასროლის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვას გულისხმობს.**

გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთ რესტორანთან ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლეს, ტყვიები კი იქვე მდგარ საცხოვრებელი კორპუსის რამდენიმე ფანჯარას მოხვდა. შემთხვევა გუშინ, გვიან ღამით მოხდა. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა

# როგორ დავგეგმოთ შვიდი დღე საქართველოში




**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში გავლენიანი სამოგზაურო გამოცემა** Conde Nast Traveller-**ი საქართველოს შესახებ სტატიას ავრცელებს.** გამოცემის ჟურნალისტი ლიდია სვინსკო მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს.

**„საქართველო ცნობისმოყვარე მოგზაურებს ხიბლავთ, ამ ქვეყანაში იმდენი სანახაობაა, რომ თვეები დაგჭირდებათ საქართველოს გასაცნობად, აქ ზიგზაგები უნდა გაიაროთ, რომ შეისწავლოთ საქართველო ბათუმის შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთ საზღვრამდე. საქართველოში ამოუწურავი აქტივობები დახვდებათ ბუნების მოყვარულებს, მოთხილამურეებს, მოლაშქრეებს და გურმანებს, რომლებსაც კერძების მდიდარი არჩევანი ელოდებათ“**, – წერს Conde Nast Traveller-ის ჟურნალისტი სტატიაში **„იდეალური შვიდდღიანი მოგზაურობა საქართველოში“.**

ლიდია სვინსკო მკითხველს ურჩევს, როგორ დაგეგმოს ერთკვირიანი ტური საქართველოში. იგი მკითხველს თითოეულ დღეს დეტალურად აღუწერს.

**პირველ დღეს** Conde Nast Traveller-ის ჟურნალისტი მოგზაურებს ძველი თბილისის, აბანოთუბნის, კვების ობიექტებისა და ბაზრის ნახვას ურჩევს.

**მეორე დღეს** ნაძვნარში ჩაფლული ბაკურიანის, სადაც როგორც სრიალი შეიძლება, ასევე ლაშქრობა და ცხენით ჯირით.

**მესამე დღეს** ქუთაისის, თეთრი ხიდის, ბაგრატის ტაძრისა და კვების ობიექტების.

**მეოთხე დღეს** ჟურნალისტი მკითხველს თბილისში დაბრუნებას და ქალაქის შემოგარენში ბილიკებზე ლაშქრობას სთავაზობს.

**მეხუთე დღეს** კი კახეთში გამგზავრებასა და ღვინის რეგიონის მონახულებას.

**მეექვსე დღეს** – ლოპოტას.

**მეშვიდე დღეს** კი ჟურნალისტი მკითხველს სიყვარულის ქალაქის, სიღნაღის დათვალიერებასა და ადგილობრივი ღვინის დაგემოვნებას ურჩევს.

# ლევან მგალობლიშვილმა მრავალშვილიანი დედები დააჯილდოვა

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ორგანიზებით, მრავალშვილიანი დედების მხარდასაჭერად, ღონისძიება „ქალი XXI საუკუნეში“ გაიმართა.**

ღონისძიების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილმა, აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორ ანი კიტიასთან და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრ ბექა ღვაჩლიანთან ერთად, აფხაზეთიდან დროებით დევნილი, მრავალშვილიანი, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ქალბატონები დააჯილდოვა.



მთავრობის თავმჯდომარემ, სიტყვით გამოსვლისას, საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და ძლიერი, წარმატებული მრავალშვილიანი დედების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„ჩემთვის ძალიან კარგად არის ნაცნობი ის გამოწვევები, რაც დღეს მრავალშვილიან ოჯახებშია, რადგან მე თავად მრავალშვილიანი მამა ვარ. უდიდესი პატივისცემა მინდა გამოვხატო მრავალშვილიანი ოჯახების, განსაკუთრებით კი დედების მიმართ. მათ ხელშია ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა და ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბება. მრავალშვილიან ოჯახებში გაზრდილი ბავშვები ხშირად მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან. განათლება არის ის ფუნდამენტი, რომელზეც უნდა აშენდეს ჩვენი ძლიერი სახელმწიფო, ხოლო განათლებული თაობა არის ჩვენი იმედი იმისა, რომ უახლოეს პერიოდში, მოძმე აფხაზებთან ერთად, აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა“,** – აღნიშნა **ლევან მგალობლიშვილმა.**



# «მარია ბუენოს-აირესიდან»

## „საქართველოს სინფონიეტამ“ ასტორ პიაცოლას ოპერა-ტანგოს პრემიერა გამართა

**თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა“ ასტორ პიაცოლას ოპერა-ტანგოს – „მარია ბუენოს-აირესიდან“ პრემიერა გამართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, პრემიერას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბუნია დაესწრნენ.

ოპერა-ტანგო „მარია ბუენოს-აირესიდან“ საქართველოში პირველად დაიდგა. შემსრულებლები არიან „საქართველოს სინფონიეტა“-დირიჟორი – კორნელია ფონ კერსენბროკი (გერმანია), მთხრობელი – კარლოს კლაუმანსმოლერი (ესპანეთი). ქართველი და საერთაშორისო შემსრულებლების ერთობლივ წარმოდგენაში მონაწილეობენ მარიამ ჩუხრუკიძე, თამარ გოჩაშვილი, თორნიკე სახოკია, ლონდა კაცია, პაატა ვახტანგიშვილი და სხვები.

„მარია ბუენოს-აირესიდან“ ოპერა-ტანგოს ჟანრში დაწერილი ერთადერთი ოპერეტაა. მისი პრემიერა ბუენოს-აირესში 1968 წელს შედგა. ეს არის ისტორია ბუენოს-აირესში დაბადებული გოგოს ცხოვრების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ამავდროულად, „მარია ბუენოს-აირესიდან“ ტანგოს ისტორიაცაა.

ასტორ პიაცოლა, როგორც მის მშობლიურ არგენტინაში, უწოდებენ – „El Gran Astor“ („დიდი ასტორი“), მსოფლიოში აღიარებული მეოცე საუკუნის ტანგოს უმნიშვნელოვანესი კომპოზიტორია. ბანდონეონზე დაკვრის პარალელურად, ტრადიციულ ტანგოში თანამედროვე სტილის შემოღებით, მან ფაქტობრივად რევოლუცია მოახდინა მუსიკაში და ტანგოში ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ელემენტების შერწყმით გაჩნდა ახალი სტილი – „Nuevo Tango“ („ახალი ტანგო“).

ასტორ პიაცოლამ ტანგო ღამის კლუბებიდან კლასიკური მუსიკის საკონცერტო სცენაზე გაიტანა და ასე დაიბადა „ახალი ტანგო“, რაც ნებისმიერი მუსიკალური გემოვნების ადამიანისთვის საყვარელი მუსიკა გახდა“...

# «ყვავილების ფესტივალი» და ქართული სიმღერის საღამო რუსთავში



**რუსთავის მერიის ორგანიზებით და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთავის ცენტრალურ პარკში „ყვავილების ფესტივალი“ და ქართული სიმღერის საღამო გაიმართა.**

„ყვავილების ფესტივალის“ ფარგლებში ცენტრალურ პარკში, ტბის პირზე ყვავილების გამოფენა მოეწყო, „რუსთავსერვის ცენტრის“ თანამშრომლებმა მოყვარული ფლორისტებისთვის მცენარეების გადარგვის მასტერკლასი ჩაატარეს, გაზაფხულის თემატიკაზე გაიმართა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. მთელი დღის განმავლობაში პარკში პატარებისთვის საბავშვო-გასართობი ღონისძიებები იმართებოდა.

ანსამბლ „ფორტეს“, „ქართული ხმების“, „შვიდკაცას“, „ალილოს“, თეატრალურის კვარტეტის“ მონაწილეობით, რუსთავში კონცერტი პარკის ამფითეატრის სცენაზე პროექტ „ქართული სიმღერა – საქართველოს“ ფარგლებში გაიმართა.

# იოსებ ჯორბენაძის «ქუჩის ხელოვნების აკადემია»

**აჭარის ხელოვნების მუზეუმი იოსებ ჯორბენაძის პერსონალურ გამოფენას „ქუჩის ხელოვნების აკადემიას“ მასპინძლობს.**

ხელოვანის მიერ გამოფენილ ნამუშევრებში გადმოცემულია ის განწყობა, რაც ბოლო წლებია ბათუმის ქუჩების სავიზიტო ბარათად იქცა. გამოფენა დამთვალიერებლებისთვის ერთი კვირის განმავლობაში იქნება ხელმისაწვდომი.



იოსებ ჯორბენაძე 2023 წლის „თანამედროვე ხელოვნების არტისტის“ ნომინაციის გამარჯვებულია. მის მიერ მოხატული ბათუმის კედლები ჯამში 10,000კვადრატულ მეტრამდეა, როგორც ექსტერიერი, ასევე ინტერიერი. იოსები არაერთი საერთაშორისო ღონისძიებების როგორც მთავარი, ასევე თანაორგანიზატორია.

# თბილისის აეროპორტი – ხუთ საუკეთესოს შორის!

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტი The Routes Europe 2025-ზე წლიურად 5 მილიონი მგზავრის გატარების შესაძლებლობის მქონე ხუთ საუკეთესო აეროპორტს შორის დასახელდა.**

შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტთან ერთად აღნიშნულ ხუთეულში შედიან ბრემენის, კორფუს, ლონდონისა და ვილნიუსის საერთაშორისო აეროპორტები. გავლენიანმა საერთაშორისო პლატფორმამ ეს ხუთეული ავიაკომპანიებთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილებისა და მიმართულებების ზრდის ტემპის მიხედვით გამოავლინა, ასევე გათვალისწინებულია მგზავრთნაკადის რეკორდული ზრდა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, რომელსაც ტავ ჯორჯია მართავს, სამგზავრო რეისებს 60 ავიაკომპანია 66 მიმართულებით ასრულებს. 2025 წლის ზაფხულის სანავიგაციო სეზონიდან ბაზარზე კიდევ 6 ახალი ავიაკომპანია შემოდის, მათ შორის British Airways, EasyJet, Edelweiss da Transavia France. 2024 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადის რეკორდული ზრდა აღირიცხა. გატარებულ მგზავრთა რაოდენობა 4,750,830 იყო, რაც 29%-ით აღემატება როგორც წინა წლის, ასევე პანდემიამდელ მაჩვენებელს.



The Routes Europe არის გავლენიანი საერთაშორისო პლატფორმა, რომელიც ყოველწლიურად აკავშირებს ერთმანეთს ავიაციის სფეროს წარმომადგენლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ყოველ წელს, პლატფორმა გამოავლენს საუკეთესო აეროპორტებსა და ავიაკომპანიებს სხვადასხვა კატეგორიაში.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 14 მარტს**